რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი 16 მაისი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 30 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 6 მ. 50 კ. ცალკე ნომერი ყველგან 30 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 საათ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შეიძლება ადრესით ფოსტით გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 190. Редакція „Эртоба“. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ. Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 97 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 97

მღვდელი მათე დავითის ძე შვილებით: ქვრივი ანიკო ჩრდილელი, თამარა წერეთელი, ვანო ბერიძე ცოლით მარიამით და შვილებით გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, პირველი ძვირფასი მეუღლის, მეორენი დაუვიწყარი და ძვირფასი დედის და დედამთილის

## ელისაბედ ივანეს ასულის ბერიძის

გარდაცვალებას. წირვა და პანაშვიდი იქნება გადახდილი ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში დილის 10 საათზე, წირვის შემდეგ გაასვენებენ სოფელ მცხეთაში და დაკრძალულ იქნება მცხეთის დედათა მონასტერში.

## ბოლშევიკური საფრთხე

ბრესტის ხელშეკრულობის შემდეგ ამიერ-კავკასია პირისპირ შეეხეჩა ოსმალეთის საფრთხეს. ბოლშევიკების მიერ ყარს-არტაანის და ბათუმის ოსმალეთზე გადაცემამ ამიერ-კავკასიის კარები გაუღო მტერს და ჩვენი თავდაცვის საქმე უნუგეშო მდგომარეობაში ჩააგდო. დღეს აშკარა საფრთხის წინაშე ვდგევართ და მხოლოდ საერთაშორისო მდგომარეობას შეუძლია ჩვენი ხსნა, მხოლოდ გერმანია-ავსტრიის მიერ საკუთარ ინტერესების სწორი გაგებაზეა დამოკიდებული ჩვენი დამოუკიდებლობის ბედი.

ამიერ-კავკასიის დემოკრატიამ ყოველგვარი ზომა მიიღო, რომ ასეთს ყოფაში არ ჩავარდნილიყო. მაგრამ, ნათქვამია, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო. ჩვენც ისე მოგვივიდა: ჩვენს გარეშე ისეთი პირობები შეიქმნა, რომ უძლურნი გამოვდექით საკუთარ ძალებით განსაცდელისათვის თავი დაგვეხწია. ჩვენ მაინც წყალწაღებულივით ხავსს ჩავეჭიდეთ და უკანასკნელ განსაცდელის ჟამს რუსეთის დემოკრატიას მივმართეთ შველისათვის, თუმცა კარგათ ვიცოდით, რომ რუსეთში დემოკრატია, როგორც შეკავშირებული ძალა, დღეს არ არსებობს. გვეგონა ხელს გამოგვიწოდებდნენ, მტრის წინააღმდეგ გვიშველიდენ, თუ რეალურ ძალით არა, ზნეობრივ გამხნევებით მაინც.

მაგრამ სასტიკათ მოვტყუვდით, ან უკეთ რომ ვსთქვათ, გამართლდა ჩვენი წინანდელი შეხედულება, რომ ბოლშევიკები აშკარა კონტრ-რევოლიუციონურ ძალას წარმოადგენენ რუსეთის ცხოვრების სინამდვილეში.

ამიერ-კავკასიამ გაბედული ნაბიჯი გადადგა, სეიმმა რუსეთიდან ჩამოშორების აქტი მიიღო და დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

როგორია ბოლშევიკების დამოკიდებულება ამ აქტისადმი? რას უნდა მოელოდეს ამიერ-კავკასიის დემოკრატია მომავალში ბოლშევიკურ რუსეთისაგან? ამის პასუხი ჩვენ მივიღეთ ბაქოში და სოხუმში, თელავის და გორის ყაზარმებში, ცხინვალის რაიონის და სამეგრელოს სოფლებში, აქ იარაღით ხელში თავს დაესხნენ ბოლშევიკები მუშათა საბჭოებს და სხვა რევოლიუციონურ ორგანიზაციებს, თუმცა თავდამსხმელნი მუშათა და გლეხთა მთავრობის სახელით მოქმედებდენ.

მაგრამ ბოლშევიკურ გამოსვლების დროს აღნიშნულ ადგილებში ჩვენ ვიხილეთ თავაშვებული ცარცვა-გლეჯა და ხოცვა-ჟლეტა, ბოლშევიკური დროშის ქვეშ დაირაზმნენ ყოფილი ჟანდარმები და თვითმპყრობელობისა. ვინც ნახა ცხინვალი და სამეგრელო, ლეჩხუმი და გორი, ქუთაისი და თელავი, მას არასდროს არ გაავიწყდება ის ალვირ-ახსნილი თარეში, რომელსაც ბოლშევიკების სახელით ასადგმიდენ. და ზოგიერთი გულუბრყვილო, რომელსაც ბოლშევიკური ნაწერები არ წაუკითხავს, დღესაც დარწმუნებულია, რომ ის, რაც ჩამოთვლილ ადგილებში მოხდა, თავაშვებულ ყაჩაღების საქმე იყო, ყაჩაღების, რომლებიც ბოლშევიკების სამოსელში გაეხვიენ, რომელნიც ბოლშევიკების სახელით ბოროტათ სარგებლობდენ.

საუბედუროთ, ეს არ არის მართალი. აღნიშნული ამბები თავის მფარველობის ქვეშ მიიღეს ცნობილმა „იდეიურმა“ ბოლშევიკებმა და ამ გვარათ ბოლშევიკურ ავტორიტეტით დაფარეს ეს სამარცხვინო გამოსვლები, კიდევ მეტი: ისინი დღეს აღარ მალვენ, რომ ალექსანდრეს ბაღში გამართულ მიტინგს ბოლშევიკები ხელმძღვანელობდენ, რომ გორის გახულიგანებულ ჯარისკაცებში, სამეგრელოს მოღალატეებში იმათი მიწ[...]ნავე კაცები მოქმედებდენ.

მაგრამ იქნებ ასე იქცევიან მხოლოდ ადგილობრივი ბოლშევიკები, გაბოროტებულნი იმით, რომ მათი ძალა-უფლება არავინ იცნო?

გადაიკითხეთ რუსეთიდან კანტი-კუნტათ მოსული გაზეთები და თქვენ დარწმუნდებით, რომ რუსეთის ბოლშევიკები ისე კალამს არ აიღებენ ხელში, რომ ამიერ-კავკასიის „კონტრ-რევოლიუციონური“ მთავრობა ბოროტათ არ მოიხსენიონ. როგორც ძველ რომში წამდაუწუმ იმეორებდენ სენატორები კართაგენი უნდა დავანგრიოთო, ისე ბოლშევიკური „სენატორები“ არ ისვენებენ: ამიერ-კავკასიას ჭკუა უნდა ვასწავლოთო. ეტყობა პირველათ საზოგადოებრივ აზრის მომზადებას ცდილობენ, უნდათ შექმნან სულიერი განწყობილება ამიერ-კავკასიის წინააღმდეგ. ამისთვის არ ერიდებიან არავითარ საშუალებას. მათი კომისარი სტალინი-ჯუღაშვილი, რომელსაც დიდხანს უმუშავია ამიერ-კავკასიაში და არ შეიძლება აქაური პირობები არ იცოდეს, განზრახ, შეგნებულათ გვაბეზღებს რუსეთის საზოგადოების წინაშე: მენშევიკებმა თავადებთან კავშირი შეკრეს და მუშებს და გლეხებს ხვრეტენო. ჯუღაშვილმა კარგათ იცის, რომ ასეთი ჭორები დღევანდელ რუსეთში კარგს ნაყოფს გამოიღებს, მან იცის, რომ „კონტრ-რევოლიუციონურ“ ამიერ-კავკასიის წინააღმდეგ დღეს ბევრი ილესავს კბილებს: უადგილოთ დარჩენილი მოხელეები, პატივ აყრილი აფიცრები, თათრების მიერ გარეკილი რუსი კოლონისტები, რომელნიც თვითმპყრობელობამ რუსიფიკატორულ მიზნით გამოგზავნა აქეთ და ადგილობრივ მცხოვრებთა მიწებით დაასაჩუქრა—ყველა ესენი ალტაცებით შეხვდებიან ბ. ჯუღაშვილის აგიტაციას. და იმ დროს, როცა გერმანია თავის „აღმოსავლეთისაკენ შეტევას“ ანხორციელებს ბოლშევიკების ღალატის მეოხებით, რუსი შავრაზმელები ჯუღაშვილ-ლენინის მეთაურობით კავკასიისაკენ გამოეშურებიან.

მართალია, „ბოლშევიკურათ“ არ გვიცქერის რუსეთის შეგნებული დემოკრატია, ის კარგათ ხედავს, რომ ამიერ-კავკასია ერთად-ერთი კუთხეა, სადაც შედარებით დაცულია რევოლიუციის შენაძენნი და დამოუკიდებლობის გამოცხადებით ამიერ-კავკასიას არა თუ ღალატი არ ჩაუდენია რუსეთის მიმართ, პირიქით, ამით ის დემოკრატიის საქმეს ემსახურება, მაგრამ საუბედუროთ, შეგნებულ დემოკრატიის ხმა რუსეთში ჯერ ჯერობით ერთობ სუსტათ გაისმის. ამიერ-კავკასიის რუსთა შორისაც მხოლოდ უმნიშვნელო ჯგუფს ესმის სწორათ მომხდარის მნიშვნელობა, (ჩემოდანოვის ჯგუფი), დანარჩენები კი მტრულათ გვიცქერიან.

ამიტომ მოსალოდნელია, რომ სანამ რუსეთში შეგნებული დემოკრატია ძალას მოიკრებდეს, ბოლშევიკებმა ჩვენი ქვეყნისკენ გამოილაშქრონ ვითომდა კონტრ-რევოლიუციის ჩასაქრობათ, ნამდვილათ კი ჩვენი ქვეყნის დასაპყრობათ.

ამ საფრთხეს ამიერ-კავკასიის ყველა ერების დემოკრატიის მჭიდრო კავშირი უნდა დავუყენოთ წინ.

## ანარქიის გზით

წელიწადზე მეტია, რაც ძველი სახელმწიფოებრივი აპარატი მოიშალა, ხოლო ახალი აქამდე ჯერ კიდევ არ დამყარებულა. და ეს არც უნდა გაგვიკვირდეს. ნგრევის პროცესი—შენებაზე ადვილია. მაგრამ რუსეთის რევოლიუციური დანგრევის პროცესიც კი დიდი ხნიდან მზადდებოდა და თუ ბოლოს ერთი დაკვრით მოიშალა—ეს მხოლოდ იმიტომ, რომ შინაგანათ სრულიად გახრწნა. მარა მის დაშლით თავი აიშვა ყველა საზოგადოებრივმა ძალებმა. ამით იმის თქმა კი არ გვინდა, თითქო ყველა საზოგადოებრივი ძალები ანარქისტულ ძალებათ გამხდარიყოს; არა, ჩვენ გვინდა მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ ძველი ორგანიზაციულ სალტის ჩამოშორებით დაიშალა არსებული ძალთა წონასწორობა, გაწყდა წინანდელი შემაკავშირებელი ძაფები. მის ადგილას უნდა წარმოშობილიყო ახალი ორგანიზაცია, ახალი კლასის ან კლასების ასე თუ ისე მკვიდრი ბატონობა, ასე თუ ისე მკვიდრი წყობილობა.

მაგრამ რომელის? აი ეს კითხვა შეიქნა სადაოთ. მართალია თეორეტიულათ ყველა მომხრეა იმის, რომ დღევანდელი რევოლიუცია მხოლოდ ბურჟუაზიული რევოლიუციაა და ბურჟუაზიულ ურთიერთობას უმზადებს ნიადაგს, უწმენდავს გზას. მაშასადამე იგი გვაძლევს და უნდა მოგვცეს მართველობა ბურჟუაზიული.

მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ დანარჩენი კლასები გულხელდაკრეფილნი შეხვდებიან ამ ბატონობას და თავის უფლებების დაცვას არ შეეცდებიან. და ეს დაცვა უფლებებისა დღეს კი შეიძლება მხოლოდ ბრძოლით, მთავრობის აპარატის დასუსტებით და თავის ძალების დარაზმვით. აქედან წარმოსდგება სურვილი თვითოეული კლასის, ჯგუფის სახელმწიფოს სათავეში მოექცეს და თვით შექმნეს წყარო უფლების და მბრძანებლობის.

ვერავითარმა დოქტრინამ ვერ გასჭრა. ისინიც კი, ვინც პრინციპიალურათ წინააღმდეგნი იყვნენ მთავრობაში შესვლის, ცხოვრების მსვლელობამ ანუ უკეთ კლასთა ბრძოლაში შექმნილმა ძალთა განწყობილებამ მთავრობის სათავეში წამოასკუპა.

რევოლიუციის ხანაში ასეთი როლი ხვდა სოციალდემოკრატიას, რომელიც პირველი გამოვიდა თავის ორგანიზაციული აპარატით რევოლიუციის პირვე[...]ბში და მოძრაობის მღელვარე ზღვაში ერთგვარი წესის დამყარება მოისურვა.

მარა ეს არ ნიშნავს რასაკვირველია ძალთა განწყობილების საბოლოოთ განმტკიცებას, ან უკვე რაიმე მტკიცე ურთიერთობის გამონახვას. არა, ჯერ ძალთა ჭიდილი, მათი გაძლიერება დასუსტების სწრაფი პროცესები არ დამთავრებულა. ერთი სიტყვით რევოლიუციის ტალღების ცემა არ შეჩერებულა. თვით რეაქციის უკუმსრბელი მღვრიე ტალღებიც ასეთსავე არევ დარევას ქმნიან.

და მხოლოდ ბრძოლის პროცესის დასასრულს შეიძლება საჭირო წესიერების დამყარება, ის ვინც მოილაშა და „წესიერებას“ ნატრობს, როგორიც უნდა იყოს ის, უკვე დამარცხებულათ უნდა ჩაითვალოს. მან ფარხმალი დაყარა და სხვის თვალში შემყურე გახდა, სხვას უნდა დაემორჩილოს, ეს მორჩილება კი მისი ინტერესების დამცველი არ იქნება. ასეთია ერთი ნაწილი გლეხობისა. დღეს რომელსაც „მოსწყინდა“ რევოლიუციის მღელვარე, მშფოთვარე ხანაში ყოფნა და მყუდრო ნავთსაყუდელს ნატრულობს, იგი უკვე რევოლიუციის და კონტრ-რევოლიუციის სასწორზე უარყოფით როლს თამაშობს.

და გასაკვირი არაა, რომ ამ ელემენტებს ჩასჭიდებიან ჩვენი ნაციონალ დემოკრატები, მათ ამ მოქანცულთა წუწუნილი მიაჩნიათ სასიხარულო მოვლენათ. მაგრამ ყველაზე საყურადღებო ისაა, რომ ეს ვითომდა დემოკრატები ამ „წესიერების“ მიტრფიალეთ პირველათ ყოვლისა რევოლიუციურ ცენტრებზე უთითებენ, მუშათა და გლეხთა საბჭოების წინააღმდეგ ამხედრებენ: ესე იგი სწორეთ იმ ორგანოების წინააღმდეგ, რომელთაც დაუდვეს საფუძველი და მისცეს მტკიცე ძალა თავისუფლების განხორციელებას. ეროვნულ-დემოკრატებს უნდათ ერთბაშათ ორი კურდღელი მოკლან: რევოლიუციონურ წრეებს სახელი გაუტეხონ და თავისუფლება ხალხს ანარქიის წყაროთ მოაჩვენონ. ისინი მთავრობის უძლურებას, რაც ყველა რევოლიუციის თანდაყოლილი თვისებაა, სოციალისტებს აწებენ ბრალათ: აი ესენი რომ არ იყონ, ყველაფერი რიგზე იქნებაო.

შეიძლება მართლა „რიგზე“ იქნეს, მხოლოდ ამ რიგისაგან გლეხს და მუშას არაფერი შერჩება არც მიწა, არც თავისუფლება, არც ბრძოლის უფლება. ასეთი წესი იყო კიდეც ბოქაულის მათრახის ქვეშ და ეროვნულ დემოკრატებიც ამ ბოქაულის იდეალს კონკრეტიზაციას უკეთებენ. მაგრამ რადგან პირდაპირ ამის თქმა ჯერ კიდევ ეთაკილებათ, ისინი გლეხს ელაპარაკებიან გლეხმა გვითხრა, ბოქაულის მათრახი გვიყვარდა, მაზე ვლოცულობდითო. არა მგონია, ასეთი უგუნური გლეხი კიდევ მოიძებნებოდეს საქართველოში, გარეშე „საქართველოს“ რედაქციისა. მხოლოდ იქ სხედან ბოქაულის მათრახის მოტრფიალენი.

ახალ წყობილებას კი სულ სხვა საშვალებები აქვს. მან უნდა სულ სხვა წესები გამოსჭედოს. მართალია ძალდატანება ყველა მთავრობისთვის აუცილებელია, უფროსის დამორჩილება ყოველთვის საჭიროა და ამისთვის სასტიკი ზომების მიღებაც არ არის ურიგო, მაგრამ ეს უნდა იყოს ზომები უმცირესობის წინააღმდეგ, რომელიც უმრავლესობის ნება-სურვილს არ ემორჩილება. ეს უნდა იყოს ზომები ხალხის ამრევთა წინააღმდეგ, რომელნიც თავისუფლებით ბოროტათ სარგებლობენ. ამით ძალა მთავრობისა გახდება არა თავისუფლების ბორკილებათ, არამედ მის აკვნათ და საზოგადოებისთვის წესიერ, თავისუფალ ცხოვრების მიმნიჭებლათ.

რევოლიუციური ორგანიზაციები ამ მხრივ მხოლოდ გვერდში უდგანან მთავრობას და უადვილებენ როგორც ახალი აპარატის შექმნას, ისე თავის მზა მხარეული აპარატით სარგებლობს. და თუ ეს ზოგიერთ მწერლებს არ მოსწონს, ეს იმიტომ, რომ მათ დემოკრატიის ინტერესების განხორციელება ლახვარივით ესობათ გულზე. მათ უნდათ წესი, მარა არა დემოკრატიული, არამედ ბოქაულისებური, და ამიტომ ილაშქრებენ ასე გამწარებით საბჭოების წინააღმდეგ. მაგრამ ჯერ საბჭოებს კიდევ შესწევს იმდენი ძალა, რომ ჩვენი დემოკრატიის დახმარებით ასეთ ვაჟბატონების წუწუნი—წუწუნათვე დასტოვოს.

## პრესა

ნაციონალ დემოკრატები სიხარულით ფეხზე აღარ დგანან—სოციალ დემოკრატებმა, თუმცა დაგვიანებით, სახელმწიფოებრიობის შეგნება გამოიჩინეს. გამოდის, რომ ჩვენ წინეთ სახელმწიფოებრიობა უარგვიყვია და ახლა ვადგებით სწორ გზას. საიდან გამოიყვანეს ასეთი დასკვნა. ჩვენი თანამშრომელი ანსანი სამეგრელოს ამბებში სხვათა შორის სწერდა: „პროპაგანდის დრო წავიდა. დღეს საუკეთესო პროპაგანდისტია თოფი-ხიშტი. სოფლის ხალხს სწყურია ძალა, მტკიცე მთავრობა. არავითარ ლმობიერ „სოციალისტურ“ მოქცევას დამნაშავეებთან ადგილი არ უნდა ჰქონდეს. მხოლოდ ამ გზას შეუძლიან იხსნას რევოლიუცია, მხოლოდ ამ გზით შეიძლება ხალხის სიმპატიის დამსახურება“. საილიუსტრაციოდ „საქართველოს“ თავის მხრით მოყავს გლეხის ნაამბობი პრისტავის შესახებ, რომელიც თურმე ქრთამსაც იღებდა, ხალხსაც აწიოკებდა, მათრახს რომ იქნევდა, რუსულადაც იგინებოდა... იმის მათრახის და გინების ჭირიმე, სულ ზანზარს დაგვაწყებინებდაო, — გულდაწყვეტილი იგონებს გლეხი, რომელთანაც „საქართველოს“ უსაუბრია ამ ერთი წლის წინად. „საქართველოც“ აღტაცებაში მოსულა გლეხის ამ სიბრძნით და კმაყოფილებით ათავებს წერილს: „ჩვენმა განათლებულმა მესვეურებმა ძლივს შეიგნეს დღეს ის, რაც დიდი ხანია ნათელი იყო ხალხის სალი ჭკუისათვის“-ო.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ „საქართველოს“ აღტაცება უადგილოა. ჩვენი თანამშრომელი ანსანი ლაპარაკობს რევოლიუციის მტრებზე და რევოლიუციურ წესრიგზე, ხოლო „საქართველოს“ ბრძენ—გლეხს ქურდები ყავს მიზანში ამოღებული. ჩვენ კი იმ აზრისა ვართ, რომ რევოლიუციის მტრები მარტო ქურდები არ არიან, რევოლიუციის მტრები, სხვათა შორის „საქართველოს“ რედაქციაში და ეროვნულ დემოკრატთა პარტიაშიაც არიან მოკალათებულნი. ამათ წინააღმდეგ ჩვენ იმ თავიდანვე ვიბრძვით შეძლებისდაგვარათ.

გვაგონდება „საქართველოს“ შარშანდელი სამარცხვინო კამპანია ნ. ჟორდანია რომ ხალხის მოღალატეთ გამოაცხადეს, გვაგონდება, თუ რას ჩადიოდა „საქართველო“, როცა ქართლში კონტრ-რევოლიუციონერ თავადებს იარაღი აყარეს შარშან რევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა და ეჭვი შეგვაქვს ნაციონალ-დემოკრატების გულწრფელობაში. ყოველ შემთხვევაში თუ ჩვენ მტკიცე მთავრობის შექმნა შევძელით, ეს მთავრობა ქურდებსა და ბოლშევიკებს გარდა რევოლიუციის ყველა მტრებს შეებრძოლება.

***

ორმაგ მუხლოსტრით ასწავლოს ... კადეტების გაზეთი „ნაროდნაია სვობოდა“. მას კარგათ ესმის, რომ ბოლშევიკები ანარქისტები არიან, რომ მათი მოღვაწეობა სახელმწიფოს ძირს უთხრის, მაგრამ დღეს ბოლშევიკებთან კავშირს გვირჩევს და სოხუმის და ბაქოს წინააღმდეგ გალაშქრებას გმობს. რატომ, რომელი მოსაზრებით უნდა დავემორჩილოთ რუსეთის ბოლშევიკებს? კადეტები ამაზე გვიპასუხებენ: „ბოლშევიზმი არ არის ანარქიული და ყაჩაღური ეჯანყება ე.ი.—თითონ რუსეთია... ბოლშევიზმი გარდამავალია, რუსეთი კი უკვდავია“.

ასეთს ერთსულოვნებას იჩენენ რუსეთის იმპერიალისტები, როცა საქმე რუსეთის საზღვრების გაფართოებას ეხება აკადემიური „ნაროდნაია სვობოდა“ მარტო მიჯნულობით როდი კმაყოფილდება. ის იმუქრება კიდეც: ასტრახან, ბაქო, პეტროვსკ, კავკავით მათ (ესე იგი ბოლშევიკებს) შეუძლიათ ჩვენსკენ საკმაოთ საგრძნობი ძალები გამოგზავნონ, რაც სახიფათო გახდება.

ჩვენ ეს თითონ ვიცით, მაგრამ განა აქედან იმ დასკვნის გამოყვანა შეიძლება, რაც „ნაროდნაია სვობოდა“-ს გამოყავს? თუ ბოლშევიკები ჩვენს ქვეყანას შემოესევიან, ჩვენც იძულებული ვიქნებით შევებრძოლოთ მათ ისე, როგორც ყოველ თავხედ მტერს.

## საუბარი გლეხებთან

— „იმ რუსეთს რომ ჩამოგვაშორეს ჩვენი საქმეც მაშინ წახდა. იქ თეთრი პურიც ბევრია და იაფიაო—ამბობენ, ჩვენ კი სიმშილით ვიხოცებით, იქ—ფარჩა სამოსელი ბევრი ყოფილა, აქ კი ჩვენი ცოლშვილი, ჩვენი ქალბალანა შიშველ-ტიტველი დაიარება. გზები შეგვიკრეს, კარები ჩაგვიკეტესო.

— რაღა მოგვცა ერთობამ, რა მოგვიტანა ამ თავისუფლებამ?!..

— ვინაა აწი ჩვენი პატრონი, ვინაა გზის მაჩვენებელი?!. ხშირათ გაისმის სოფლათ დღეს ეს სიტყვები.

სახალხო კრებებზე თუ კერძო საუბარში ბევრი თქვენთაგანისაგან მე ეს სიტყვები ხშირათ მსმენია, ძვირფასო ამხანაგებო, სოფლის მუშებო—გლეხებო!

ამ სიტყვებშია ჩაქსოვილი თქვენი სევდა და მწუხარება, აქ გამოისმის საყვედური და გულის ტკივილი, აქ მარხია თქვენი უმეცრობა—უსასოობა, შეუგნებლობა და გაურკვევლობა..

მესმის, ძმებო, კარგათ მესმის თქვენი გულის წუხილი, ვიცი რაც არის ამის მიზეზი... ამისათვის ვიფიქრე გაზეთის საშვალებით გაგებაასოთ, გულახდილათ გავგელაპარაკოთ, სავსებით დარწმუნებული, რომ თქვენ ყურადღებით მომისმენთ. მაშ, დავიწყოთ. ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ხალხი ამიერ-კავკასიის სხვა ხალხებთან ერთათ დღევანდელ რუსეთს კაი ხანია, რაც ჩამოშორდა. ეს სიმართლეა. ამიერ-კავკასია—ქვეყანა კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდის,—დასახლებული სხვადასხვა ხალხებით: ქართველებით, სომხებით, თათრებით, რუსებით და სხვებით—დღეს დამოუკიდებელ, ცალკე თავისუფალ სახელმწიფოთაა გამოცხადებული. 9 აპრილს მოხდა ეს ამბავი. 9 აპრილს გამოაცხადა სეიმმა ეს დამოუკიდებლობა. 9 აპრილს ეწოდა ჩვენს სახელმწიფოს: „ამიერ-კავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკა“.

სეიმმა გადადგა ეს აუცილებელი ნაბიჯი. თქვენ გაგიგონებიათ, ამხანაგებო, რა არის სეიმი. სეიმი—ეს ამიერ-კავკასიის ხალხების მიერ არჩეული უმაღლესი, კანონმდებელი დაწესებულებაა, იგი უზენაესი ძალა-უფლების მქონეა. ის მოევლინა ქვეყანას მშრომელი ხალხის ნება-სურვილით და ამავე ხალხმა დაადასტურა მის მიერ 9 აპრილს გადადგმული დიდი პოლიტიკური ნაბიჯი.

ამიერ-კავკასიის ყველა ერებმა, ყოველი ერის მშრომელმა ხალხმა, ყველა რევოლიუციონურმა პარტიამ მოიწონა სეიმის გადაწყვეტილება, სავსებით გაიზიარა და მიიღო ის აზრი, რომ ამიერიდან ჩვენი მხარე—თავისუფალი დემოკრატიული რესპუბლიკაა.

ზევით ვთხარით, რომ ჩვენი ქვეყანა რუსეთს ჩამოშორდა მეთქი.

რამ გვაიძულა რომ მოვშორებოდით მას?

ჩვენდა საუბედუროთ და სამწუხაროთ რუსეთი დღეს ის უკვე აღარაა, რაც იყო გუშინ, დიდი რევოლიუციის ძლევა-მოსილი მსვლელობის დროს...

კაი ხანია, რაც იქ აღარ მომავალი რევოლიუცია—დაბლა დაეშვა, განმთავისუფლ[...]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი დიდი სახალხო მოძრაობა უფსკრულისაკენ დაექანა, დამარცხდა.

თავისუფალი, რევოლიუციონური წესები— დაემხო, ამას მაგიერ გაბატონდა სრული უწესოება, არევ დარევა. ქვეყანა მოიცვა ანარქიამ, ფრთა გაშალა შავმა რეაქციამ. რევოლიუციონური მშრომელი ხალხის, დემოკრატიის ერთი მთლიანი ფრონტი დაირღვა, ახალი—თავისუფალი წესწყობილების ჩაყრილი საძირკველი დაიშალა, „ერთობა“—ეს ჩვენი სათაყვანო „ერთობა“,—მაშვრალთა ციხე-სიმაგრე—დაინგრა...

სადღაა დიდი რუსეთის დიდი დემოკრატიული რესპუბლიკა?

დღეს იგი დაფლეთილ დანაწილებულია, თითეული ნაწილი განაგებს თავის თავს, როგორც უნდა, ან შეუძლია.

დიდ არევ-დარევას მოჰყვა დიდი უბედურება. შიმშილი თავს დასტრიალებს რუსეთს, გაჭირვება სულს უხუთავს მას. აი რას ამბობს სინამდვილე და როცა თქვენ გეუბნებიან, რომ იქ ყველაფერი ბევრია—ეს არ არის მართალი, ეს ან გაუგებრობის შედეგია, ან ხშირათ განძრახ ნათქვამი ისეთი პირებისაგან, ვისაც აინტერესებს ჩვენში ისეთივე არევ-დარევა გამეფდეს და ისეთივე სისხლის მორევი დადგეს—როგორც რუსეთშია.

ფრთხილათ, გონივრულათ, ამხანაგებო! კარგათ გასინჯეთ ხოლმე ნათქვამი!..

მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველს გულს უკლავს რუსეთის მწარე ბედი. მტერი კი ხარობს, მტერი ზეიმობს, მტერი გამარჯვებას დღესასწაულობს. თავისუფალი რუსეთი მტრების საჯიჯგნი შეიქნა, ყოველი მხრიდან მიესიენ მას, სძარცვავენ, გლეჯენ, ულუკმოთ ინაწილებენ... ამ უბედურების და დამხობის საქმეში დიდი როლი ითამაშა რუსეთის დღევანდელმა მთავრობამ; მან დაირქვა სახელი: „სახალხო კომისართა საბჭო“, ანუ: „მუშათა და გლეხთა მთავრობა“—მაგრამ ვაი რომ ეს სახელი არ შეეფერება ამ მთავრობას.

სინამდვილემ სხვა სახელი არგუნა მას, ისტორია სხვა სახელს უმზადებს მას...

„მთავრობა მუშათა და გლეხთა გამაუბედურებელი“—წარმომადგენელია იმ პარტიის, რომელსაც „ბალშევიკების“ პარტიას ეძახიან. თქვენ გაგიგონიათ ეს სახელი, ბევრი ყოფილი ჯარისკაცი თქვენ შორის ხშირათ იმეორებს ხოლმე ამ სახელს და ქებითაც იხსენიებს მას. დღევანდელი რუსეთის მთავრობა—ბალშევიკების პარტიის მთავრობაა, ის წინეთ ატარებდა სახელს სოციალ-დემოკრატიული პარტიისას, მან უარყო ეს სახელი, დაირქვა „კომუნისტური პარტია“. უარყო სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ბრძოლის საშვალებანი და ტაქტიკა, უარყო ნაცადი გზა მთელი ქვეყნის მუშათა პარტიებისა, ხელი გაუწოდა ანარქიზმს და მით თავისთავი დააყენა მთელი ქვეყნის მუშათა კავშირის—ინტერნაციონალის—გარეშე...

რომელი მტერი უზამდა რუსეთს იმას, რაც უყო მას ბალშევიკების პარტიამ და მისმა მთავრობამ?!..

აგერ მეშვიდე თვე მიდის, რაც ეს პარტია განაგებს რუსეთის ბედს. სამოქალაქო ომით, ძმათა შორის სისხლის-ღვრით დაიწყო ამ მთავრობამ თავისი მოღვაწეობა. ბალშევიკურმა მთავრობამ შეაცურა რუსეთი ანარქიისა და რეაქციის ზღვაში.

ამ მთავრობამ მოხსნა ჯარი ფრონტებიდან და შეჰკრა გერმანიის მთავრობასთან სამარცხვინო ზავი. დაცარიელებული საზღვრები გადმოლახა მტერმა, მიილტვის წინ, ქვეყნის გულისკენ, სოფელ-ქალაქებს დღე-დღეზე იღებს, ქვეყანას იპყრობს, იმონებს.

ჯარის დაშლით, ფრონტის დაცარიელებით რუსეთის მთავრობამ საშვალება მისცა გერმანიას დაეფხრიწა საზავო ხელშეკრულების ქაღალდი, დაერღვია პირობა და შიგნით შემოჭრილიყო...

გერმანიის იმპერატორის, ვილჰელმის, ამოწვდილი მახვილი დასტრიალებს უბედურ რუსეთს თავს. გერმანიის ჯარების ქუსლ ქვეშ ისრისება იგი!..

ეხლანდელმა რუსეთის მთავრობამ შეჰკრა, შებოჭა თავის სამშობლო და გერმანიის მტაცებლებს ჩააბარა იგი...

იარაღი აყარა თავის სამშობლოს, თავის ხალხს და შესაჭმელათ გერმანიის სვავებს, იმპერიალისტებს მისცა იგი...

ამავე მთავრობამ მოხსნა ჯარები კავკასიის ფრონტზე, დააცარიელა საზღვრები. ოსმალეთთან ზავი ჩამოაგდო და მით ჩვენი ქვეყანა გასაძარცვავათ ჩაუგდო ხელში.

ჩვენ არ გვკითხეს, ამიერ-კავკასიის მშრომელი ხალხები არარათ ჩააგდეს, მათ ანგარიში არ გაუწიეს. მათი სურვილისა და ინტერესების წინააღმდეგ ყარსი, არდაგანი, ბათუმი მტერს ჩააბარეს. ამ ქალაქებში დღეს მტერი ხარობს, ხოლო გულ-მოკლული ჩვენი დემოკრატია გლოვობს.

ისტორია არ აპატიებს ამ ულიდეს დანაშაულს იმას, ვინც მოჰკლა თავის საკუთარი სახელმწიფოებრივობა, მახვილი ჩასცა რევოლიუციას, დაამხო ქვეყანა თავისუფალი და მტრის მონა-მორჩილი გახადა იგი.

ისტორია არ აპატიებს იმას, ვინც გადალახა ხალხის უფლება, ვინც ასტეხა სამოქალაქო ომი, ვინც სისხლით შეღება რუსეთი, ვინაც გარეკა დამფუძნებელი კრება, ეს იმედი და [illegible] მშრომელი რუსეთისა..

ამხანაგებო! აბა დაფიქრდით, შეიძლებოდა განა ასეთი მთავრობის ცნობა? მისი მიღება, მისი ცნობა განა არ ნიშნავდა ჩვენში იმავე უბედურების დატრიალებას, რაც იქ რუსეთში ჩაიდინეს? რევოლიუციის ისევე დამხობას, როგორც იქ დაამხვეს? მტრის შიგნით შემოშვებას, როგორც იქ შემოუშვეს? სამარცხვინო ზავის მიღებას, რომელიც იქ მიიღეს?.. და აი ამიერ კავკასიის დემოკრატიამ იმ თავითვე არ იცნო ეს უკუღმართი მთავრობა, იმ თავითვე უარჰყო მან ქვეყნის დამღუპველი ბალშევიკური გზა. მან არ მოაწერა თავის ნებით ხელი ერის და სახელმწიფოს სიკვდილს. მან ვერ დაითხარა თვალები საკუთარი ხელით, მან ვერ ამოიგლიჯა გული თავისვე ხელით. მისთვის დღევანდელი რუსეთი საფრთხე იყო და იგი გაიმიჯნა ამ საფრთხისაგან. რაკი რუსეთის თავისუფლება უფსკრულისაკენ გააქანეს, დემოკრატიამ გადასწყვიტა ამიერ-კავკასიაში მაინც შეერჩინა ეს თავისუფლება და დაეცვა რევოლიუციით შენაძენი. ამიერ-კავკასია დღეს ერთად-ერთი სიმაგრეა რუსეთის დიდი რევოლიუციის, რომელიც მტერს ვერ აუღია. ვერ აუღია იმიტომ, რომ აშ სიმაგრეს იცავს და ერთგულათ დარაჯობს ბოლომდის მებრძოლი დემოკრატია, მშრომელი ხალხი ქალაქისა და სოფლისა

ერთგულათ და მტკიცეთ ბოლომდის დარაჯნო თავისუფლებისა!

ფრთხილათ, ამხანაგებო, არ გიმუხთლოს მტერმა შინაურმა, არ გნახოს ძაბუნათ მტერმა გარეშემ. თქვენ უნდა გადაარჩინოთ განსაცდელს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა, ქვეყანა თქვენ შემოგცქერის, თქვენ უნდა იხსნათ იგი. თქვენი ფხიზელი გონება და შორს მჭვრეტი თვალი, თავს უნდა დასტრიალებდეს ამიერ-კავკასიას—ამ ციტადელს ჩვენი რევოლიუციისას!..

როგორც ზევით გითხარით, დემოკრატიამ გადასწყვიტა ამიერ-კავკასიაში მაინც შერჩენა რევოლიუციის მონაპოებთა. სამშობლო მიწა-წყლის და თავისუფლების დაცვა მან მოქალაქის წმინდა მოვალეობათ აღიარა.

უარყო რუსეთის მთავრობის ჩელშეკრულობა ოსმალეთის მთავრობასთან და ბათუმის, ყარს-არდაგნის იარაღით დაცვა სავალდებულოთ გამოაცხადა.

ოსმალეთმა რუსის მთავრობის საზავო პირობის განხორციელება მოგვთხოვა და ზავზე ლაპარაკი ამიერ-კავკასიასთან მხოლოდ მის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ სცნო შესაძლებლათ. როგორც რუსეთის ნაწილთან ჩვენთან ლაპარაკი მტერმა უარჰყო და თან თავის საქმის განხორციელებას შეუდგა—დასძრა ჯარები და ბათუმის კარებს მოადგა. დემოკრატია ორ ცეცხლ შუა მოემწყვდა. ბალშევიკების საფრთხე ჩრდილოეთით, ოსმალეთის საფრთხე სამხრეთით. ერთიც და მეორეც უბედურებას უქადდა ქვეყანას, მისი დაცვა მოითხოვდა ორივეს წინააღმდეგ გალაშქრებას.

დემოკრატიამ იძრო ხმალი და გარეშე მტერს ეკვეთა. უთანასწორო ბრძოლაში, პირველ შეტაკებაში იგი დამარცხდა. ბათუმი, ყარსი და არდაგანი მტრის ხელშია... ამ დიდი განსაცდელის დროს ვის არ მიმართა, ვის არ მოუხმო ჩვენმა ქვეყანამ, მაგრამ არსაიდან შველა, არსაიდან დახმარება...

ამ მძიმე დროში იშვა ჩვენი რესპუბლიკა, ჩვენი დამოუკიდებლობა.

დიდმა საფრთხემ აიძულა დემოკრატია გამიჯნულიყო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. ესაა ნაბიჯი ქვეყნის გადასარჩენათ გადადგმული, ესაა ცდა თავისუფლების შესარჩენათ მიმართული...

დღევანდელი რუსეთისაგან გამიჯვნა, ჩამოშორება არ ნიშნავს კავშირის გაწყვეტას რუსეთის დემოკრატიასთან, რუსეთის ცოცხალ შემოქმედ ძალებთან, რუსეთის მომავალთან. რუსეთის რევოლიუციურ დემოკრატიასთან ჩვენი სულიერი კავშირი განუწყვეტელი იქნება. საუბედუროთ, ეს დემოკრატია დღეს უძლური და მიწასთან გასწორებულია. ჩვენ გვწამს, იგი არ მოკვდება, აღსდგება. ჩვენ იმედით შევსცქერით მის მომავალს. დღეს კი, დღეს იგი როდესაც დაინახავს ჩვენს მდგომარეობას და გასსჭვრეტს იმ მძიმე პირობებს, რომლებმაც წარმოშვა ჩვენი დამოუკიდებლობა, დარწმუნებული ვართ ღირსეულათ დააფასებს აუცილებელ ნაბიჯს—ამიერ-კავკასიის დემოკრატიისას. ამიერ-კავკასიის დემოკრატია ჭეშმარიტათ ღირსია რუსეთის რევოლიუციონური დემოკრატიის სრული თანაგრძნობისა. იმან უნდა შესძლოს ჩვენი გაგება. ის ჩვენ გაგვიგებს...

ამხანაგებო! ჩემი ნათქვამიდან, თქვენ მგონი გაიგებდით, რომ საყვედური—თითქოს რუსეთიდან მოშორებამ დაღუპა ჩვენი საქმე—არაა საფუძვლიანი, არაა მართალი. თქვენ ბევრს გაიგონებთ სოფლათ ჩვენი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. ზოგნი იტყვიან შეუგნებლობით, მათ თქვენ უნდა აუხსნათ და შეაგნებინოთ. ზოგნი იტყვიან განზრახ, მტრული მოსაზრებით, თქვენ მათ უნდა შეებრძოლოთ. ასეთებმა ვერ უნდა გაბედონ ჩვენი საერთო საქმის ჩაშლა. ეცადეთ წყალი არ აამღვრიონ, ერთობა არ დაგვიშალონ. ციხე შიგნიდან არ გაგვიტეხონ.

ამიერ-კავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ეს რევოლიუციონური დემოკრატიის კუთვნილებაა, მისი შექმნილი, მისი განაჩედი პოლიტიკური ბრძოლის თავისუფალი სარბიელია. აქ უნდა გაშალოს ფრთა ჩვენმა დემოკრატიამ, აქ უნდა აყვავდეს და გაიფურჩქნოს მისი უკეთესი მომავალი. აქაა ჩაყრილი მტკიცე საძირკველი, მაზე უნდა აშენდეს მუშა ხალხის ბრწყინვალე მომავალი.

სოფლის მუშებო, ამხანაგებო! ჩვენი რევოლიუცია, ჩვენი ნორჩი რესპუბლიკა, თქვენგან ელის მხარის დაჭერას, ზურგის გამაგრებას.

ამიერ-კავკასიის მშრომელი ხალხი წითელი დროშით სდგას ბრძოლის ველზე და ხმალამოღებული დარაჯობს თავისუფლებას. გაჰყევით თქვენც. არ ჩამორჩეთ ძმებს, თქვენსავით ტანჯულებს! ძირს არ დაუშვათ წითელი დროშა, ხომ იცით, იგი მებრძოლთა სისხლით შეღებილია, დიდ ბრძოლის ცეცხლში განატარები მტრის ტყვიისაგან დახვრეტილია. დეე, მუდამ მაღლა ფრიალებდეს თქვენი მარჯვენით აღმართული ეს წმინდა დროშა, ლაშქარი, მის ქვეშ დამდგარი გაიმარჯვებს. მის ძლიერების წინაშე დაეცემიან ორგულნი და მოღალატენი და განიბნევიან შინაური და გარეშე მტერნი...

ახლა კი შევწყვიტოთ საუბარი. ისედაც გამიგრძელდა წერილი.

შემდეგ წერილში ვეცდები გაგაცნოთ ჩემი აზრი თქვენს მეორე შეკითხვაზე: **„რა მოგვცა თავისუფლებამ, რა მოგვიტანა ერთობამ“?!**

7 მაისი 1918 წ. **რ. ჩიხლაძე.**

# დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

15 მაისი.

**სტამბოლი.** პალესტინის ფრონტი. მთელს ფრონტზე ზღვის პირიდან მდ. იორდანამდე უმნიშვნელო სროლაა. იორდანეს აღმოსავლეთ ნაპირად საღამოს ძლიერი სროლა იყო. ლაბასეს არხის პოზიციების ჩრდილოეთით ინგლისელები იერიშით მოვიდნენ, რაიც ჩვენ მოვიგერიეთ.

**ვენა.** იტალიის ფრონტი, მთებში საარტილერიო სროლაა.

**ბერლინი.** სომმის ჩრდილო ნაპირად ბრეკორბიეს გზის მახლობლათ ზოგიერთ ადგილებში ინგლისელებზე ჩვენ მიერ მიტანილი იერიშები წარმატებით დამთავრდა. მტრის კონტრ-იერიშები მოვიგერიეთ.

**ლონდონი.** ინგლისის „პრეს-ბიუროს“ ცნობა. „დეილი-ტელეგრაფი“ შემდეგს სწერს: გერმანიის მიერ წყალ-ქვეშა ნავების ბრძოლა დღითი დღე სუსტდება. როგორც წყალ-ქვეშა ნავები ისე ნაღმოსნები ველარ მოქმედებენ ისე თავისუფლად, როგორც წინეთ მოქმედებდნენ. როცა გამოირკვა, რომ საზღვაო ომით გერმანია ვერას გახდებოდა, მთავარი ყურადღება დასავლეთ ფრონტს მიაპყრეს და ვინაიდან აქ ვერ წაიწიეს წინ, ისევ საზღვაო ბრძოლა განაახლეს, მაგრამ გერმანიის ხალხზე ვერც ეს მოახდენს შესაფერ გავლენას. გერმანიის ხალხს რომ საშუალება ჰქონდეს იმის გაცნობის, თუ რა მოხდა ზეებრიუგეში და ოსტენდეში, აქ მომხდარი ამბები ხალხში არა სასურველ გავლენას დასტოვებდა.

„ტაიმსს“ ატყობინებენ ბერნიდან, რომ საფრანგეთის მთავრობა მოკავშირეებთან ერთათ დასთანხმდა მოამზადოს შვეიცარიისთვის 85 ათასი ტონი ქვანახშირი და იტალიური გაზეთი იუწყება გერმანელები ემზადებიან ახალი შეტაკებისთვის ინგლისის ფრონტზე პოპერინგეს მიმართულებითო. გერმანიის ახლანდელი მზადება იმის მომასწავებელია, რომ ახლო ხანში სასტიკი ბრძოლა გაჩაღდებაო.

# დეპეშა

**ბორჯომი.** 13 მაისს მუსულმანებთან შეტაკების დროს სოფ. საროსთან მოკლულ იქნა პოდპოლკოვნიკი გიორგი პავლეს ძე კობეშავიძე. ცხედარს მოასვენებენ ბორჯომს 15 მაისს.

კომისარი **ჟორდანია.**

# ახალი ამბები

**ქართული უნივერსიტეტის** პროფესორთა საბჭომ დაადგინა აირჩიოს საპატიო წევრათ აკადემიკოსი კონდაკოვი, რომელსაც დიდი სამსახური მიუძღვის საერთოდ მეცნიერების და კერძოთ კი ქართული მეცნიერების წინაშე. მომავალი სასწავლო წლიდან ქართულ უნივერსიტეტში დაარსებულ იქნება მათემატიკური და ბუნების მეტყველებათა კათედრები. განზრახულია აგრეთვე აფხაზურის, მეგრულის, სვანური და კავკასიის სხვა ერთა ენების შესასწავლი კათედრების დაარსება.

◆ **კავკასიის ფრონტის ჯარების სარდლის** თანამდებობის აღმასრულებელი გენ. ლებედინსკი თანახმათ თხოვნისა დათხოვნილ იქნა თანამდებობიდან. დროებით ამიერ-კავკასიის ჯარების სარდლობა დაეკისრა სამხედრო მინისტრის თანაშემწეს გენ.-მაიორს კვინიტაძეს, თავის თანამდებობაზე დატოვებით.

◆ **სომეხთა ნაციონალურმა საბჭომ** შუამდგომლობა აღძრა სათანადო დაწესებულების წინაშე, უზრუნველყოფილ იქნას უშიშრათ მოგზაურობა სომეხ ლტოლვილთა ჩრდილო კავკასიისა და რუსეთისაკენ.

◆ **ქალაქის საბჭო.** 13 მაისს ქალაქის საბჭოს კრებაზე მიიღეს პროექტი, რომლითაც პურის მიმღებლები სხვადასხვა კატეგორიებათ იქნენ დაყოფილნი, მიიღეს აგრეთვე პროექტი არავის აღარ მიეცეს პური და სხვა სანოვაგე სახლის კომიტეტების გარეშე. საუბნო სასურსათო კომიტეტების დებულების ძალით მთელ ქალაქში უნდა დაარსდეს 12 საუბნო კომიტეტი თვითეულში შედის 15 კაცი. შემდეგ საბჭომ განიხილა ქალაქის თავის მოხსენება იმ შესახებ, რომ მოსამსახურეთა ერთმა ჯგუფმა პროტესტი განაცხადა საბჭოს დადგენილებაზე, რომ სამხედრო სამსახურში გაწვეული ქალაქის მოსამსახურეები დათხოვნილ იქნენ სამსახურიდან. საბჭომ მოსამსახურეთა ჯგუფის პროტესტი უყურადღებოთ დასტოვა და დაადასტურა საბჭოს წინანდელი დადგენილება. შემდეგ საბჭომ განიხილა სასტუმროების პატრონების წერილობითი პროტესტი ოთახებზე ნიხრის დადების შესახებ და უყურადღებოთ დასტოვა ის. დასასრულ საბჭომ განიხილა რამდენიმე წვრილმანი საკითხები, სხვათა შორის, ქალაქის სასურსათო განყოფილების დათხოვნილ მოსამსახურეთა დაკმაყოფილების, ბინების რეკვიზიციის შესახებ და სხვა.

◆ **სამხედრო მინისტრმა** გრ. გიორგაძემ და მისმა თანაშემწემ გენ.-მაიორმა კვინიტაძემ სეიმის დამცველი რაზმი დაათვალიერეს; რაზმს მინისტრმა სიტყვით მიმართა. ამის შემდეგ დაათვალიერეს 1 ქართულ ცხენოსანთა პოლკი, რომელსაც დაესწრო ქართული კორპუსის უფროსი გენ. გაბაშვილი. დათვალიერებულ იქნა აგრეთვე ქართული სამორტირო და საორდინარო დივიზიონები.

◆ **თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა** დეპ. საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა სთხოვა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ მილიციის გასაუმჯობესებლათ ჯამაგირი მიემატოთ მილიციის მსახურთ, რადგანაც ჯამაგირის სიმცირის გამო საუკეთესო მსახურნი მილიციას თავს ანებებენ. დროებით შესწყდა „მუშ. და ჯარ. დეპ. საბჭოს უწყებათა გამოცემა.

◆ **სახელმწიფო ბანკში** დროებით შესწყდა ფულის დახურდავება.

◆ **რკინის გზის ცენტრალური** აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ისიდორე მალანია დაინიშნა გზათა მინისტრის ამხანაგათ. რკინის გზის აღმ. კომიტეტის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. კანდელაკი.

◆ **ოჩემჩირიდან** იტყობინებიან, რომ მთავრობის ჯარმა და წითელ გვარდიელებმა ბალშევიკურათ წოდებული ბრბოები გაჰფანტეს, მდ. კოდორზე გადავიდნენ და წინ მიიწევენ.

◆ **დამცველმა შტაბმა** დააპატიმრა ქართულ მე-11 პოლკის ჯარისკაცი ივანე პურადაშვილი ვინტოვკის მითვისებისთვის, გულიხანოვი—მკვლელობისთვის, ჯარისკაცნი: გაპონსუხლოვი, ანისიმოვი და კრიუჩკოვი—მუქარისათვის, მე 279 პოლკის პორუჩიკი გალოლოვი ყალბი დოკუმენტებით სურსათის მიღებისათვის, მიხ. ავთანდილოვი—ჩხუბისთვის, პავლე ბაშჩენკო—ვინტოვკის გაყიდვისთვის.

◆ **გერმანელ და ავსტრიელ** იმ სამხედრო ტყვეებსა და ტყვე მოქალაქეთა დასახმარებლათ, რომელნიც თფილისის, ქუთაისის და განჯის გუბერნიაში იმყოფებიან, შვეციის საელჩომ დანიშნა პეიცენმაური.

◆ **სანდარიდან** აგენტი გველესიანი გზათა მიმოსვლის მინისტრს ატყობინებს: სოფლებ: სარვანის, კიზილ-ოტპელოს და სანჰარის აღმასრულებელ კომიტეტების თავმჯდომარეთ განაცხადეს, რომ მე 44 ვერსზე მატარებლების გაძარცვის შესაწყვეტად საჭიროა ჯავშნიანი მატარებლის გამოგზავნა. ამ შემთხვევაში ისინი გასცემენ ყაჩაღების მეთაურებს.

◆ **სად. სანაიანიდან** საგანგებო საგამომძიებლო კომისიის წევრი ბარსოვი იტყობინება: ორი მატარებელი სდგას, ერთი—გადმოხვეწილებით. მატარებლების გამოგზავნა აკრძალულია. წინ შიშიანობაა. მცველები არ არიან, არც ჯავშნიანი მატარებელია. უპურობის გამო მგზავრები შიმშილს განიცდიან.

◆ **სამხედრო სამინისტრომ** შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა თხოვნით დაეხმაროს მობილიზაციისა და ცხენების რეკვიზიციის მოხდენაში.

◆ **ახალქალაქის მაზრაში** იგზავნებიან სეიმის წევრი კ. ა. გაზაზიანი და გაერთიანებულ ცენტრის წევრნი ტ. გ. ავეტისიანი და ა. ა. ისრაილიანი საგანგებო უფლებებით საადმინისტრაციო დავალების შესასრულებლათ.

◆ **საქართველოს ეროვნულ საბჭოს** სხდომა შესდგება დღეს, საღამოს 7 საათზე.

**კრებები და მიტინგები.**

დღეს, 16 მაისს, საღამოს 6 საათზე, კოლექტივის ბინაზე დანიშნულია მე-6 რაიონის კოლექტივის წევრთა ჩვეულებრივი კრება.

— დღეს საღამოს 6 საათზე დანიშნულია მეოთხე რაიონის კოლექტივის კრება ბიუროს ბინაზე. ამხანაგებს ვსთხოვთ არ დაიგვიანონ.

— დღეს, საღამოს 5 საათზე ბიუროს ბინაზე შესდგება რ. ს. დ. მ. პ. მეორე რაიონის კოლლექტივის წევრთა კრება კრება.

— დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია მესამე რაიონის კოლლექტივის რ. ს. დ. მ. პ. სხდომა. საჭიროა დაესწრონ კანდიდატებიც.

# საქართველოს ეროვნული საბჭო

(14 მაისის სხდომა).

თავმჯდომარეობს **გ. ლასხიშვილი.**

**თავმჯდომარე:** წარსულ კრებაზე ჩვენ მოვისმინეთ სხვადასხვა ფრაქციების მოხსენებები ამიერ-კავკასიის სახელმწიფოებრივი კონსტიტუციის შემუშავების შესახებ. ამის გარშემო იხსნება კამათი.

**რ. გაბაშვილი** (ნაც. დ.) წარსულ კრებაზე ჩვენ მოვისმინეთ რამოდენიმე პროექტი კონსტიტუციისა, მაგრამ ვერავითარი დადგენილება ვერ გამოვიტანეთ, გასაგებიც არის ეს გარემოება: ჩვენს ეროვნულ საბჭოს არავითარი გავლენა არ აქვს ამ საკითხის გადაჭრაში, ეს საკითხი საბოლოვოთ სხვაგან გადაიჭრება ჩვენდა დამოუკიდებლივ. წარსულ კრებაზე **გ. ჯაფარიძემ** ჩვენ დაგვისახა ისეთი ფედერატიული კონსტიტუცია, რომელსაც ფედერაციასთან არაფერი საერთო არა აქვს. მან ყველა უფლებები ცენტრს გადასცა და ეროვნულ საბჭოებს—ერთეულებს არაფერი დაუტოვა, გარდა კულტურული მუშაობისა, საბუთები მის მიერ მოყვანილი მეტათ სუსტი იყო: აქ საბუთათ მოიყვანა ის, რომ საქართველო პატარაა და ცალკე არსებობა არ შეუძლიაო. ჩვენის ღრმა რწმენით, ეს დამოუკიდებლობას ხელს არ უშლის. არათუ საქართველო ევროპის დიდი სახელმწიფოებიც დამოკიდებულნი არიან ერთმანეთისაგან. ოქრო არა გვაქვს და საკუთარი ფინანსების გაჩენა ძნელიაო. არც ეს არის სერიოზული საბუთი: ჩვენ ხშირათ ერთმანეთს ვაძლევთ ვექსილებს, მიუხედავათ იმისა, რომ ოქრო არ მოგვეპოვება, სამაგიეროთ გვაქვს სხვა ქონებები, ფული უბრალო ვექსილია, მისი მოჭრა შეიძლება. შემდეგ ის აკრიტიკებს მთავრობის მოქმედებას.

**თავმჯდომარე** ორატორს წინადადებას აძლევს საკითხს დაუბრუნდეს.

ორატორი განაგრძობს: ჩვენ არ ვემხრობით ცენტრალისტურ, იმპერიალისტურ წარმოდგენას სახელმწიფოზე და ქართველი ერის საკეთილდღეოთ მოვითხოვთ სრულ დამოუკიდებელ საქართველოს სახელმწიფოს შექმნას:

**თავმჯდომარე** აცხადებს, რომ კონსტიტუციის შემუშავებაში ეროვნულ საბჭოებს დიდი გავლენა და უფლება აქვთ. საკონსტიტუციო კომისიაში შედის ჩვენი წარმომადგენელნიც და მათ ჩვენ უნდა მივსცეთ დირექტივები.

**ქ. აბხაზი.** წარმოდგენილი პროექტები მეცნიერულათ არ იყო დასაბუთებული. ყოველივე ერს ახასიათებს სამი პირობა: ისტორიული, ეთნოგრაფიული და ეკონომიური. არ იყო აგრეთვე დახასიათებული პერსონალური, ინდივიდუალური ინტერესები ქართველი ერისა. ორატორი ეხება თუ რა პირობებში გამოცხადდა ამიერ-კავკასია დამოუკიდებელ ფედერატიულ რესპუბლიკათ და ამბობს: ჩვენი პირი დასავლეთისაკენ უნდა იქნეს მიქცეული ევროპის კულტურის შეთვისებაზე.

**შ. მესხიშვილი** (სოც. ფ.) ჩვენ წამოყენებულ საკითხს მეტის მეტ სერიოზულად და დინჯათ უნდა მოვეპყრათ. სახელმწიფოებრივი წეს წყობილების შენება უნდა ხდებოდეს რეალური პირობების გათვალისწინებით. რუსეთის დაყოფის შემდეგ სულ სხვა პოლიტიკური ხანა დადგა. დღეს ჩვენ გარს გვახვევია ისეთი ელემენტები, რომლებიც მტრულ განწყობილებაში არიან ჩვენთან. ჯაფარიძის პროექტი სრულიად არ შეიცავს ფედერალიზმს. არის მეორე მომენტიც. ადერბეიჯანი სტამბოლისკენ იხედება, სომხები იაპონია-ამერიკისაკენ. ქ. აბხაზი გადამიჯვნის საშიშროებას ხედავს ცალკე ერთეულების შექმნის დროს, და მე ვეკითხები მას იქნება თუ არა ეს საშიშროება დამოუკიდებელ საქართველოს შექმნის დროს? პასუხი ერთია: უფრო მეტი. ჩვენი პარტიის მოთხოვნაა: შევქმნათ ისეთი კონსტიტუცია, რომელიც რაც შეიძლება მეტ უფლებებს უტოვებდეს ცალკე ერთეულს და ნაკლებს ანიჭებდეს ცენტრს.

**მ. მაჩაბელი** (ე. დ.) და **შ. ქარუმიძე** (ე. დ.) იცავენ საქართველოს სრულ დამოუკიდებლობას.

**რაჟდენ არსენიძე** (ს. დ.) საკითხი მეტისმეტათ რთულია. აქ კი მეტათ ამარტივებენ: გამოვეყოთ და ცალკე ვიყოთო. იმას კი არ ამბობენ, თუ რა შედეგები მოყვება ამას. სურვილი კარგი საქმეა, მაგრამ ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ჩვენ ისეთი ხალხი გვახვევია ირგვლივ, რომლებიც ცდილობენ თავის ორბიტაში მოგვაქციონ. ჩვენ გვაქვს ამორჩეული ერთი ხაზი, რომლის საშუალებით შესაძლებელია ერის კულტურული, ეკონომიური განვითარება. ამისთვის კი საჭიროა შევქმნათ ისეთი მდგომარეობა, რომ ერთგვარი მშვიდობიანობა არსებობდეს. ჩვენ გვინდა ამიერ-კავკასიის ერთა შორის შემაერთებელი ძაფი იყოს. ჩვენ ღრმათ დარწმუნებული ვართ, რომ რამდენათ უფრო პატარა იქნება ჩვენი რესპუბლიკა, იმდენათ მეტი ბატონები გვეყოლება და მეტი მუჯლუგუნი მოგვხვდება, რამდენათ დიდი და ფართო იქნება პოლიტიკური ფარგალი, იმდენათ უზრუნველყოფილი იქნება თავისუფალი კულტურული ეკონომიური განვითარება. ორატორს მოყავს ბრავალი მაგალითი კონფედერაციის და სრულიად გამო-

126

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფის საწინაარმდეგოთ და ამბობს, ჩვენ უნდა ვაღვიაროთ, რომ შექმნილ მდგომარეობის მეოხებით ჩვენ მივიღეთ ფედერაცია, ჩვენ, როცა ამას ჩავდიოდით, მაშინ დარწმუნებული ვიყავით, რომ სხვა პარტიები უფრო მარჯვნით გადიხრებოდენ და კიდევაც ასე მოხდა. ორატორი ეხება აგრეთვე იმ გარემოებას, თუ რისთვის მოვითხოვთ ერთ პალატიან პარლამენტს.

ამიერ-კავკასიის მთლიანობას უფრო მკვიდრი ნიადაგი ფედერაციის დროს ექნება, ფედერაცია სწორეთ იმიტომ გვსურს, რომ მუსულმანთა ორიენტაცია მოსწყდეს ოსმალეთს. საჭიროა იმოდენა ძალების ყოლა, რომ ოსმალეთმა ადვილათ არ გადაგვიაროს თავზე, ჩვენ დღეს უნდა შევეცადოთ შევაკავშიროთ ყველა ერები, რომ შესაძლებელი იყოს თავისუფალი ეკონომიური განვითარება. (ტაში).

ვეშაპელი დიდხანს ლაპარაკობს ნაციონალური დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის შესახებ. ეკამათება ს. ჯაფარიძეს და გ. რცხილაძეს და სავსებით ეყრდნობა წარსულ კრებაზე გ. გვაზავას მიერ წამოყენებულ თეზისებზე.

პ. საყვარელიძე („ალიონის“ ჯგუფი) საკონსტიტუციო კომისიაში უმთავრესად წამოყენებული იყო სამი შეხედულება: აბსოლიუტური დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა კონფედერაცია და ფედერაცია. კონფედერაცია წამოაყენა თვით გ. გვაზავამ, რომელმაც ის ერთი კვირის შემდეგ არ დაიცვა და სრულ დამოუკიდებლობას ჩაებღაუჭა. ფედერაცია ს. ჯაფარიძემ წამოაყენა. ადერბეიჯანმა მოითხოვა კონფედერაცია „სესაციის“ უფლებით. ერთი ცენტრალური რესპუბლიკა იქნება ჩვენთვის მავნებელი. პარლამენტში ქართველობა იქნება წარმოდგენილი უმცირესობით და ერის ინტერესები დაიჩაგრება. ორატორი მოითხოვს კონფედერატიულ რესპუბლიკას.

კამათი წყდება. შემდეგი კრება იქნება 17 მაის ხუთშაბათს, საღამოს 7 საათზე.

ა—ხანი.

## ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა და რუსი მცხოვრებნი

ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლად გამოცხადებას სხვა და სხვა ნაწილი საზოგადოებისა სხვანაირად შეხვდა.

ზოგმა მოიწონა ეს აქტი, როგორც ერთად ერთი გამოსავალი გზა შექმნილ უნუგეშო მდგომარეობიდან. ზოგმა ამ საკითხში პესიმისტობაც კი დაინახა. განსაკუთრებით საინტერესოა ამ საკითხისადმი რუს მცხოვრებთა დამოკიდებულება.

გამოცხადდა თუ არა ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა, მაშინვე რუს მცხოვრებლებში დაიწყო მითქმა-მოთქმა იმის შესახებ, რომ ვითომ რუს მოქალაქეებს მიერეკებოდენ კავკასიიდან. თითეული რუსი (რასაკვირველია, შეუგნებელი) ყოველ ჯვარედინ გზაზე იმას გაკივის, რომ ჩვენ აქედან გაგვდევნიან, ჩვენ უნდა გადავსახლდეთ, ამიერ-კავკასიის მცხოვრებნი მეტის-მეტი შოვინისტები აღმოჩნდნენ, ჩვენ მათ რამდენი ხანია ვინახავთ, ისინი კი თავისუფლების ხანაში ჩვენ აქედან გვერეკებიან, მათ ამის უფლება არა აქვთ და სხვა.

რასაკვირველია, აქ მოქმედობს ვიღაცას ტალახიანი ხელი. ძველი მთავრობა იმით იყო „შესანიშნავი“, რომ ის ერთ ერს მეორე ერის წინააღმდეგ აქეზებდა და ძმებს ერთმანეთის სისხლში აღრჩობდა. მოიგონეთ ებრაელების დევნა, მათზე მოწყობილი „პოგრომები“ და თქვენ ნათლად წარმოიდგენთ ძველი მთავრობის პოლიტიკას. „დაანაწილე და იმეფე“—ეს ლოზუნგი ნიკოლოზის მთავრობას ფართე ხმარებაში ქონდა. ამავ ლოზუნგით აპირობენ თავის ზრახვების განხორციელებას რევოლიუციის და დემოკრატიის მტრები. კონტრ-რევოლიუციონერები დადიან და ფართე აგიტაციას ეწევიან ამ ნიადაგზე. მათ სურთ ნაციონალური შუღლი ჩამოაგდონ კავკასიის მცხოვრებთა შორის და მით ჩაახრჩონ რევოლიუცია. როგორც სჩანს, ისინი უკვე [დარაზმულად] გამოდიან და სასტიკი იერიშები მოაქვთ ამიერ-კავკასიის ახალგაზდა რესპუბლიკის წინააღმდეგ. განსაკუთრებით პროვოკაციამ ნიადაგი ჰპოვა რკინის გზის რუს მოსამსახურეთა შორის.

მკითხველს უკვე მოეხსენება, რომ ყველა სახელმწიფო დაწესებულებებში ამ ჟამათ ხდება შტატის შემოკლება. ასევე ხდება რკინის გზის სამმართველოში. დაითხოვეს იქიდან აუარებელი მოსამსახურეები, მათ შორის რუსებიც. ამას უკანასკნელნი ზემოთ დასახელებული მიზეზით ხსნიან. საჭიროა ასეთ პროვოკაციას სასტიკათ შევებრძოლოთ. ჩვენ უნდა ვუთხრათ რუსებს, რომ მათ არავინ არ მიერეკება, ჩვენი მოწინავე ამხანაგები და პარტია (რომლებიც დღეს მთავრობის წარმომადგენელნი არიან) ყოველთვის იბრძოდენ და იბრძოლებენ საკაცობრიო იდეალებისათვის და დაუშვებელია ის აზრიც, რომ თავისუფალ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკაში ადგილი ექნეს რომელიმე ხალხის დევნას. პირიქით, ჩვენ გვჭირია ყველა ის, ვისთვისაც ძვირფასია რევოლიუცია და თავისუფლება. დეე ნუ შეიყვანს მათ შეცდომაში ის გარემოება, რომ ამ უკანასკნელ ხანებში რკინის გზიდან ბევრი იქნა დათხოვნილი პოლიტიკური მოსაზრებით და სამწუხაროთ მათ შორის უმრავლესობა რუსებია. დღეს უკვე აშკარა ბრძოლაა კონტრ-რევოლიუციასთან და ამ ბრძოლაში ის რუსებიც ჩვენთან არიან, რომელთა ლოზუნგია ერთობა ყველა ერების და მოპოებული თავისუფლების განმტკიცება.

ანხანი.

## მოვალეობის მსხვერპლი

### კაპიტანი სიმონ შავგულიძე

დღეს ქუთაისში დაასაფლავებენ კაპიტან სიმონ შავგულიძეს რომელმაც ხალხის თავისუფლებას და სამშობლოს ბედნიერებას შესწირა თავისი ნორჩი სიცოცხლე.

ჯერ სულ ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე 23 წლის სიმონი გაგმირა მტრის შეუბრალებელმა ტყვიამ. ტფილისის სემინარიის დასრულების შემდეგ ის გაეშურა რუსეთის ფრონტზე, გმირული საქმეებისთვის დაჯილდოვებულ იქნა გიორგის ჯვრით და ოქროს ხმლით. როდესაც ჩვენ ქვეყანას საშინელი უბედურობა დაატყდა თავს მტრის შემოსევით, ის მიეშურება თავისი საუკეთესო რაზმით იქ, სადაც მოქალაქობრივი მოვალეობა მოითხოვს.

31 მარტს, ამ საბედისწერო დღეს როგორც ბათუმისთვის ისე თვით სიმონისთვის ის ლომივით იბრძვის ბათუმის ფორტ „ანარიაზე“ „მტერს ცოცხალი არ დავნებდებიო“ ამბობდა ის როცა ბათუმში მიდიოდა, და მართლაც, როცა ბათუმში ოსმალები უკვე შემოვიდენ, როცა ციხის ბედი უკვე გადაწყდა, ფორტი „ანარია“ მაინც განაგრძობს წინააღმდეგობას მაგრამ უცებ შესწყდა ზარბაზნის ხმა—ეს დაეცა გულ განგმირული „ანარიას“ უკანასკნელი დამცველი კაპიტანი შავგულიძე.

მოკვდა სიმონი, მაგრამ არ მომკვდარა ის საქმე, რომელსაც მან თავი შესწირა.

მადლიერი სამშობლო არ დაივიწყებს საუკეთესო გმირის ხსოვნას და მის ძვირფას საფლავს.

ი. ხ.

## შორს არის

I

საბედისწერო სიზმარი ახდა—
არის განგება და საწყალი:
მოკვდა, მომავლის იმედი წახდა,
გათავდა ჩვენი დღესასწაული...

გლოვის ჩადრით გვკიდია ყელზე,
გადაფენილა წინ სისხლის ტაბლა
და ვით ცხოვარნი გვალვიან ველზე
ვლამით თავები დავკიდოთ დაბლა.

ცეცხლი აწვიმდა მწარე ნაღველზე,
არ ვიცი ასე რამ დაგვამდაბლა;
სიკვდილის სალტე მოგვერტყა წელზე,
შემოგვეხვია, შემოგვესაბლა..

და გულში სევდა თუ კვლავ აძრახდა,
თუ გადაისხა გონებას ძმარი,
თუ მკლავი ჩვენი კვლავ აცახცახდა,
შეგვექმნა სულთქმა მოუსვენარი;

თუ ვიცით მტარვალს წილათ რაცა ხვდა,
ყელზე შეგვება სიკვდილის ქნარი!—
ქვეყანა ჩვენი გაგვიპარტახდა,
მაშინ რათა ვართ „ლაღი და წყნარი?!“

სირცხვილიანი ეს განაჩენი
ოდეს ჩვენ შორის თუ დამკვიდრდება,—
იყოს წყეული ქვეყნის გამჩენი,
როცა არ ყოფნა შეგვიყვარდება.—

გასტეხს წიაღსა სინდისი ჩვენი,
გულიდგან გარეთ გადმოვარდება,
ან გავიავდებით, განვლიან დღენი—
სიცოცხლე ჩვენი გადაგვარდება...

თავისუფლება კერპი ყოფილა
და სიყვარული წარმავალი მონა,
გული უძირო ალიზის ქილა,
გრძნობა ნაწყვეტი ვარდების კონა!

ოცნების კვამლი აღმოფრენილა,
ჭეშმარიტების ცეცხლი მეგონა,
მიწა გამსკდარა, კლდე გახეთქილა,
იქნება სჯობდა არ გამეგონა!?.

და თუ გონებამ ვერ ივაქილა—
მწარე დაცინვა გამოიგონა,
მაშინ თვით ყოფა უარყოფილა
აქ გამარჯვება ვინ გაიგონა?!.

კიდევ მკითხავენ, ღამე და დილა,
იმღერე ძმაო რამ დაგღონა.
სირცხვილმა დამწვა და გამაწბილა
ნეტა კაცის ხმა არ გამეგონა!..

ზოგჯერ მწუხარედ დაიბღვირებს პირსა,
მზეს რომ შევხედავ—მტკივა თვალები,
ის თვით არიდებს სახეს ჩემს ჭირსა,
როცა მას მე ვერ დავემალები!..

იქნებ გონია რომე ცოდვილმა
ჩემს სანუგეშოთ დაესწამე ცილი,
ან ეფიქრება, რომ მიწის შვილმა
გადაირბინოს მისი მანძილი!?.

მაგრამ შორს არის ჯერ სიხარული,
თუ არ გაჯრილა ღამე და ძილი,
თუ ხალხის გულში შემოპარული
ისმის სიკვდილის ჩუმი სიცილი...

ვ. ტუქსიშვილი.

15 აპრილი 1918 წ.

## ლეჩხუმის ამბები

V

რა უნდა ვსთქვა ბოლშევიკებზე, ამათ მთელი თავისი მოსაზრება და დაფასება ლეჩხუმის ამბებისა შემთხვევით ლეჩხუმში შესულ თავის კაცის ცნობებზე ააშენეს, და ეს ცნობები კი თავიდან ბოლომდე ყალბია. გაზეთ „ბრძოლის“ 4 №-ში ასე ახასიათებდენ ლეჩხუმის მოძრაობის მონაწილეთ:

„ჩვენ თვით გავუძლვებით და დავიცავთ ჩვენს თავს; ქუთაისის ჩინოვნიკობა, სოციალისტურ ქურქში გახვეული თავად-აზნაურობა და მასთან ბურჟუაზია ჩვენ ვერ დაგვიცავს, ჩვენვე მოვეწყობით ისე, როგორც მას მდგომარეობა და რევოლიუცია გვიკარნახებსო“! აი, პირველი ამოძახილი და წმინდა რევოლიუციონური ნაბიჯი ლეჩხუმის მუშების და ჯარისკაცებისა, აი მათი საამდროვო ლოზუნგი. ამ მხრივ ლეჩხუმმა თავის თანამოძმე სოფლის მუშებს წინ გაუსწრო, არა თუ სოფლის მუშებს, თვით ქალაქის მუშებსაც“.

ცოტა ქვევით კიდევ ვკითხულობთ:

„თქვენ ვერ ნახავთ ლეჩხუმში ისეთ პირებს, ნამეტურ ახლა, ამ მოძრაობის დროს, რომ საზოგადოების გარეთ იდგეს, მოძრაობას ზურგს აქცევდეს, ან და შავ-რაზმულ გამოსვლებით შეწუხებული იყოს რომელიმე კუთხე საზოგადოებისა. თავად აზნაურობა არსად სჩანს და არავითარი დამოკიდებულება გლეხთა მოძრაობასთან არა აქვს“.

მერე და თქვე დალოცვილებო თუ ასეთი კარგი სოციალისტური მოძრაობა იყო და ქალაქისა და სოფლის ტონის მიმცემათ გამოდგებოდა, რაღა სულის ჩამდგმელათ და ხელმძღვანელებათ ხუცესი მარგიანი, მატყუარა ამბროსი პირველი, ნაპრისტავალი კოპალიანი და გაიძვერა შარდენ ყრუაშვილი შეგვატოვა ხელში? თავად-აზნაურობა არსად სჩანსო რომ ბრძანებთ, მაშ სად წავიდენ, ან ლევან დადეშქელიანის სიკვდილით გახარებული გარდაჯხაძეები, რომ თოფს ისროდენ ეს რევოლიუციის დღესასწაული ხომ არ იყო?

ყველას, ვინც კი ლეჩხუმის ამბებზე ხმა ამოიღო, თავის წმინდა მოვალეობათ მიაჩნია მაზრის კომისარის თანაშემწე ამბაკო რაზმაძე გადააჯირგალოს. ჩვენ ორგანიზაციებში რაზმაძის კანდიდატურა რევოლიუციის პირველ თვეებშივე წამოაყენა ლეჩხუმში უდიდესმა, ვგონებ 1500 კომლიანმა დერჩის საზოგადოებამ. ეს ჩვენ სასიამოთ დაგვირჩა, რაზმაძე უბრალო გლეხის შვილია და დერჩის საზოგადოების მასთან დამოკიდებულება გვეგონა მისი სახალხო თვისებების ნაყოფი იყო. მას ბ. ვარლამ ახვლედიანის სახით ფედერალისტები პირველათვე აუხირდენ, მაგრამ ჩვენი მოსაზრება ასეთი იყო: **დაუმტკიცეთ ბრალდებები და ჩვენ მას ორგანიზაციებიდან გავდევნით.** ვერავინ დაუმტკიცა დანაშაული და რაზმაძეც ჩვენს ორგანიზაციებს შერჩა. ეხლაც, როგორც ზევით ვსთქვი, ყველა მას აჯირგალებს, მაგრამ არ ვიცით სახელდობრ რაში გამოიხატება მისი დანაშაული. ეხლაც საჭიროა ჯერ ბრალდების დადასტურება და შემდეგ დამნაშავის დასჯა. ამბობენ 31000 მანეთი მოიტაცაო, მაგრამ საიდან მოიტაცებდა იმას, რაც არ იყო? რაზმაძეს ბრალს სდებენ სასურსათო კომიტეტის გარშემოც, სადაც იგი მუშაობდა. „ხალხის მეგობრის“ 225 №-ში ბ. გიგა სასურსათო კომიტეტის წინააღმდეგ აყენებს სერიოზულ ბრალდებას, როცა ამბობს: **„ორ ფუთ სიმინდზე ჩვენებურათ გოროზე დაადვეს ფასი 20 მანეთი, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო ამ 20 მანეთს წაუმატეს ოთხი მანეთიო“.** მე ძალიან მიკვირს, რატომ სასურსათო კომიტეტმა ან კერძოთ რომელიმე მისმა წევრმა ხმა არ ამოიღო ამ ბრალდებაზე? 20 მანეთზე 4 მანეთის წამატების ნება არავის არ ქონდა და თუ ეს მართალია, მე მოვითხოვ სასურსათო კომ. პასუხისგებაში მიცემას, ხოლო თუ ტყუილია, პასუხისგებაში უნდა იქნეს მიცემული თითონ ბ. გიგა. საერთოთ რაზმაძე კომისარიატშიაც და სასურსათო კომიტეტშიაც მუშაობდა ჩვენი პარტიული კანდიდატების ხელქვეით. მაზრის კომისარათ ჩვენ გვყავდა ამხ. ჭ. ასათიანი, ხოლო სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარეთ შოთა გელოვანი. როცა ამბობენ—რაზმაძემ ქვეყანა დააქციაო, მე არ მესმის ეს ჩვენი ამხანაგები რათ არ იღებენ ხმას? რაზმაძე ჰქვა-საინს ხომ არ ამტვრევდა დუქნებში, თუ რასმეს ახდენდა, უთუოთ ახდენდა კომისარიატში და სასურსათო კომიტეტში, და თუ ეს ასეა სად ბრძანდებოდენ ეს ჩვენი პასუხისმგებელი პირები და პარტიული კანდიდატები? რატომ არ აძლევენ საზოგადოებას იმ დაწესებულებათა ანგარიშს, რომლების ხელმძღვანელებათ ისინი იყვენ მოწოდებული? რატომ არ ამბობენ ეს რაზმაძე მართლაც შარლატანი და ქურდია თუ არა? რატომ ამხანაგებმა მაინც არ ვიცით როგორ უნდა მოვეპყრათ ამ კაცს? განა ეს ხალხი უბრალო ტიკინები იყვენ, რომ მათ ხელქვეით მყოფ რაზმაძეს შეეძლო დამოუკიდებლათ ისე ემოქმედნა, როგორც სურდა? ვიმეორებ თავისი სიჩუმით ესენი ცუდ სამსახურს უწევენ ჩვენ ორგანიზაციას და პარტიას.

გაზეთ „ხალხის მეგობრის“ სააღდგომო ნომერში ბ. გიორგი ჩაჩხიანი და ვიღაცა ს. ო. ბევრს ლაპარაკობენ ჩემსა და ჩემგან გამოთქმულ ლეჩხუმის ამბების წინააღმდეგ. გიორგი ჩაჩხიანზე ჩემს წერილებში ვსთქვი: იმ დროს, როდესაც ჯარისკაცმა მეშველიანმა ჭილეში კრებაზე ჩვენთან შეთანხმება და რაზმის ცაგერში გაშვება მოითხოვა, აი, ასეთ დროს გიორგი ჩაჩხიანმა შხამიანი სიტყვა სთქვა რაზმის ცაგერში შესვლის წინააღმდეგ, მოსწამლა ატმოსფერა და მით პროვოკატორული როლი ითამაშა მეთქი. უნდა დაუმადლო გიორგი ჩაჩხიანს, რომ თავის წერილში ჩემს ასეთ შეხედულებას იგი უარყოფის მაგიერ ადასტურებს, და მით უფრო ღირსეულათ იქცევა, ვიდრე მისი ამხანაგი გიგა, რომელიც ალპანაში კერძო საუბრის დროს ჩვენთან სულ სხვას ამბობდა და ეხლა კი, ქუთაისში სულ სხვა ჰანგზე მღერის. რაც შეეხება გიორგი ჩაჩხიანის ახალ პროვოკაციებს: თავის დროზე რომ გაბრუნებულიყავით ხიფათი აღარ მოხდებოდა, რაზმელები აგიჯანყდა და შენ თუ კაი ბიჭი ყოფილიყავ შენს სოფელშიდაც არ დაგჭირდებოდა და სხვა ასეთ ლათაიებზე უნდა ვსთქვა: ჩვენ დავბრუნდით როგორც კი ანტიკური ხიდები გაასწორეს და ისე კი ფრენა არ შეგვეძლო. არავითარი რაზმი არ აგვჯანყებია, გაგვეპარა ვიღაც ერთი ლეჩხუმელი რაზმელი, მაგრამ ერთი მოღალატე ჩვენ ორასკაციან რაზმში კი არა ქრისტეს მიერ არჩეულ თორმეტ მოციქულში გამოერია. მე დამიჭირა და კინაღამ მომკლა არა ჩემმა სოფელმა, არამედ ხუთმა-ექვსმა გზას ამცდარმა ჯარის-კაცმა, და მათ შორის ერთმა, ყველაზე მეტათ გაცხარებულმა, რამოდენიმე ათას კაციან მიტინგს ჩემს ბრალდებათ მოახსენა: „დიდი თავი აქვსო“. თუ ეს თქვენ სასარგებლოთ რასმეს ამბობს ბ. გიორგი, დეე მე დამარცხებული ვიყო, მაგრამ იმის დაფარვა რათ გჭირდებათ, რომ მე ხალხმა კი არ დამიჭირა, პირიქით ახირებული ბრალმდებლებისაგან მიპატია?! რაც შეეხება მეორე ფედერალისტს, ვიღაც ს. ო.—ს, ეს მეჩოთმება: ეხლა ვერ მოვასწარი, აწი გაჩვენებ სეირსო. გიცდით ბ. ს. ო. და აბა თქვენ იცით, როგორ ლანძღვა-თრევას გადმოალაგებ, ეს ხელობა კარგათ უნდა გეხერხებოდეს როგორც [illegible] ყოფა თქვენ წერილს. იგინეთ რამდენიც გინებავთ, ამით თქვენ გულს მოიფხანთ და მე კი პასუხის გაცემაც არ მაქვს აზრათ. ამას წინათაც ერთმა თქვენმა ამხანაგმა ბ. ვლ-მ ტყვილ-უბრალოთ შეგვიკურთხა მე და განსვენებულ ლევანს, ისე ტყვილ-უბრალოთ, როგორც სოფლის დედაბერი სალოცავის დიდ მუხასთან გაივლის და დაიძახებს: „ფუ ეშმაკსო“, მაგრამ მე ხმაც არ გამიცია. ან გამოპარვის შესახებ რას მეცინი ბ. ს. ო?! ჰო, მართლა შენმა ამხან. გიგა ჩიქოვანმა და შალვა ახვლედიანმა დროშებით, მარსელიოზას მღერით და თოფის სროლით არ ჩამოიარეს ლეჩხუმი, როცა ქუთაისში მოდიოდენ?! თქვენ არ გაგიგიათ ბ. ს. ო. რომ თქვენს გიგას ბლუზა სულ შემოცვეთილი ჩამოყვა ცაგერის სასწავლებელში ტახტებ ქვეშ ნახოხავი?!

ბ. ს. ო. ერთხელ კიდევ ლაპარაკობს ინტერპატიული კომისიის შესახებ და უკურთხებს კაჩუხაშვილს.

ერთი ლაილაშელი ვაჭარი, ბიჭიკო ჯანუაშვილი ცოლმა თურმე გალანძღა: გლახა ხარ, არ სვამ, არ ჭამ, ქონებას ვერ ხმარობო.—ამდენი ლანძღვა მომწყინდა, ასეთი სიცოცხლე აღარ მინდა, აი, თავს ვიკლავო, და ბიჭიკომ ყურის ძირში რევოლვერი თურმე მიიდო.

— აბა თუ ვარგხარ შე გლახა, გამოუსვი ხელი, იკარი, იკარი ჩქარაო, მიაძახა ცოლმა, მაგრამ აქ ბიჭიკოს უმტყუნა ვაჟკაცობამ, და დარცხვენილი გამობრძანდა გარეთ.

იმ დროს, როდესაც კომისია მიიწევდა ლეჩხუმში აწეწილ-დაწეწილი და საშიშარი მდგომარეობა იყო, და ვგონებ ისიც ვერ გამოიჩენდა ბიჭიკოზე მეტ ვაჟკაცობას, მაგრამ ეხლა ადვილია ფაფხური და კაჩუხაშვილის გინება და რა გაეწყობა.

ყოველ შემთხვევაში საჭიროა ლეჩხუმის ამბების ყოველმხრივი გამოკვლევა და ჯერ დაუდასტურებელი ხმების შემოწმება. რაც უფრო ჩქარა მოხდება ეს და რაც უფრო მეტი პარტიების, დაწესებულებების თუ ჯგუფების წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას, მით უფრო კარგია.

რა გვარი მდგომარეობაა ეხლა ლეჩხუმში? ჯერ ისევ დაულაგებელი და აწეწილ-დაწეწილი. ერთი ცხადია: მოხდა გათიშვა, გლეხი ჯარისკაცები თანდათან ხვდებიან თავის შეცდომას და თანდათ შორდებიან და სააშკარაოზე სტოვებენ თავად-აზნაურობის ხულიგანურ ნაწილს. ამას უნდა შეუფარდოთ ჩვენ ეხლა ჩვენი ტაქტიკა: მდგომარეობის გარკვევა, მოფერება და პატიება შეცდომაში შესულ გლეხკაცობასთან და შეუპოვარი ბრძოლა თავად აზნაურობის ხულიგანურ ნაწილთან. საერთოთ მდგომარეობა ირკვევა და მე მგონია შორს არ არის ის დრო, როცა ლეჩხუმის გლეხკაცობა პასუხს მოსთხოვს იმ ნაძირალებს, რომლებმაც ისარგებლეს შემთხვევით და გზაბნეული კაცის ხელით ხალხის სიყვარულით გამთბარ გულში ცხელი ტყვია გაუტარეს მედგარ რევოლიუციონერს ლევან დადეშქელიანს.

ჩემო ლევან! ვაი რომ შენს სიჩუმეს და მყუდრო ძილს ვეღარ დაარღვევს, თორემ შენი ამხანაგები მალე მოვიგონებთ სისხლ-ნარევ ცრემლებს ამოყოლილ შენაწებს ხმას იმ ადგილზე, სადაც შენი ლამაზი სიცოცხლის წამლები თოფის ჭექა უბედურათ გაისმა და საიდაც შენ უპატრონოთ, შუბლზე [illegible] ხელის გადაუსმელათ, და სიკვდილის წინ სიმწარის ოფლის მოუწმენდლათ ამოგხდა სული.

აქ, ამ წერილებში არ ვაქვეყნებ იმ დეპეშებს და ცნობებს, რომლებიც მუშათა დეპუტატების საბჭომ, გუბერნიის კომისარმა და განსვენებულმა ლევანმა მიიღეს. არ ვაქვეყნებ ერთი იმიტომ, რომ ლეჩხუმში უადგილო წყრომა ჯერ კიდევ მთლათ არ განელებულა და არ მინდა ვინმე ამ წყრომის წინაშე დავაყენო და საფრთხეში ჩავაგდო, ხოლო მეორეს მხრივ ამ ცნობების გამოქვეყნება ამხ. გ. ურატაძის პირით თავის თავზე აიღო მუშათა დეპუტატების საბჭომ.

ბოდიშს ვიხდი მკითხველთან, რომ ლეჩხუმის ამბების ერთობ ხანგასვლით და ცალცალკე, დაშორებულ გაზეთის ნომრებში მოწოდება მომიხდა. ეს მომივიდა ხან სხვებთან შედარებით ლეჩხუმის ამბების ნაკლები მნიშვნელობის გამო და ხანაც უდროობით.

რ. ყიფიანი.

## რკინის გზაზე

განჯის გუბერნიაში თათარ-სომეხთა შორის დამოკიდებულება ძლიერ გამწვავებულია და დღითი-დღე უარესდება.

თითქმის შეუძლებელია თფილისიდან განჯის მხარეს რკინის გზით სომხების მოგზაურობა. სადგურ კარაჯალიდან ყველა სადგურებზე უსინჯავენ მგზავრებს პასპორტებს და სხვა დოკუმენტებს, და თუ სადმე აღმოჩნდა სომეხი, ვაი მისი ბრალი! იმის წუთები დათვლილია.

6 მაისს სადგურ ყარაიაზში თფილისიდან მიმავალი მატარებლიდან ჩამოსვეს სამი სომეხი, რომელნიც უნდა წასულიყვენ ალექსანდროპოლისაკენ, მაგრამ შეცდომით განჯისაკენ მიმავალ მატარებელს გამოყოლოდენ. ორი იყო მცირე წლოვანი, მესამე კი შუახნისაზე მეტი. ის იყო სადგურიდან მოშორებით უნდა გაეყვანათ და დაეხოცათ, რომ მოუსწრო ადგილობრივმა კომისარმა ნჟრიევმა და მისმა თანაშემწემ აზდოევმა, რომლებმაც იხსნეს ეს 3 ადამიანი და თფილისისკენ გამოგზავნეს მცველებით.

ერთი კვირის წინათ ამავე ნჟრიევმა გადაარჩინა სიკვდილს ერთი მოხუცი სომეხი, რომელიც შემთხვევით ჩამოსულიყო ყარაიაზში; მაგრამ ყოველთვის კომისარი ხომ ვერ შეხვდება! ამ ორი კვირის წინად ორი კაცი გამოასალმეს სიცოცხლეს, რომელნიც განჯიდან მომავალ მატარებლიდან ჩამოიყვანეს. დახოცილების გვამი თურმე რამოდენიმე დღე თხრილის პირად ეყარნენ და მერე გამვლელ მწყემსებს ჩაეფლათ მიწაში.

ამიტომ საჭიროა მიექცეს სომეხ მგზავრთა ყურადღება ამ მოვლენას, რომ არამც და არამც არ იმგზავრონ მათ ამ მხარეს რკინის გზით, რომ მსხვერპლი არ გახდენ გაუგებრობის და ამასთანავე, ქართველმა და სხვა მგზავრები თუ იმგზავრებენ აქეთ, აუცილებლათ თან იქონიონ პიროვნების დამამტკიცებელი საბუთი, მინამ ასე გამწვავებულია ნაციონალური შუღლი.

სასურველია სხვა გაზეთებიც გადაბეჭდავდენ ამ გაფრთხილებას.

გამვლელი.

## ტყვედ წაყვანილი ჩვენი ჯარისკაცები

2 აპრილს 1918 წელს ბათუმში ოსმალებმა ტყვეთ წაიყვანეს შემდეგი ჯარისკაცები: ტიტიკო ჰაკნელიძე თაყას ძე, ფაცაცია ისიდორე ბიტუს ძე, მეგვია დავით ამბაკოს ძე, გოგუაძე არონ პეტრეს ძე, კვაჭაძე ვანო პავლეს ძე, ხურცია ნიკო ივანეს ძე, ხოშტარიანი ნესტორ გიორგის ძე, კვიცაშვილი რუბენ ლასას ძე, კვეცაშვილი ვლადიმერ უშანგის ძე, ჯორბენაძე მიხეილ მოსესძე, ღლონტი შალიკო იონისძე, ნიკოლაიშვილი დომენტი პავლეს ძე, თავაძე ტიხონ დანიელის ძე, ხინიკაძე მიხეილ კოსტანტინეს ძე, გვაზავა ბესარიონ გიგოს ძე, გიორგაძე გერმან ასალის ძე. კინტრაძე სიმონ მაქსიმელის ძე, თუთაშვილი ამბერკი იოვანეს ძე, კვაჭაძე ბენიამე ლასას ძე, დუმბაძე ვასილ ლუკას ძე, თევზაძე ხარიტონ სილვესტროს ძე, ბერძენიშვილი ილარიონ სპირიდონის ძე, ვაშალომიძე პავლე ალექსანდრეს ძე, ვაშალომიძე მათე ალექსანდრეს ძე, ჭეიშვილი ილაკრი ვასილის ძე, ჭეიშვილი შალვა ალექსის ძე, თალაკვაძე შალვა ნოეს ძე, გრეკოვი შალვა იაგორის ძე, ვიკენტი წულაძე ილაკრის ძე, ღლონტი პარმენ პავლეს ძე, გოგია ანტონ გიორგის ძე, ადამია ვასილი ალექსის ძე, გოგია ვარლამ საჩინოს ძე, ადამია კონსტანტინე ზაქარიას ძე, გვირიშიანი ისააკი მიხეილის ძე, სულავა ვლადიმერ გიორგის ძე, გრიგორია ვლადიმერ იოვანეს ძე, ნიკოლაიშვილი ალექსანდრე დიმიტრის ძე, ტუსკია ვასილი აფანასისძე, ტუსკია პანტელეიმონ აფანასის ძე, დგებუაძე ივანეს ძე ვლადიმერ, გორქონიკიძე გიორგი ალექსანდრეს ძე, ყაიძე მელიტონ ვიკტორის ძე, ჭელიძე ამბროსი გიორგის ძე, ჩივაძე ვლადიმერ სიმონის ძე, ჭყონია სერგეი ვლადიმერის ძე, ხუნდაძე ივანე სტეფანეს ძე, კირტაძე კონსტანტინე ოფინის ძე, ლეჟავა პარმენ ნიკოს ძე, ნუკუბიძე გალაქტიონ რომანოსის ძე, ვასილ სტეფანეს ძე ჩხაკვაძე, ხარაბაძე გალაქტიონ, შუბლაძე ისიდორე -ო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სების ძე, ჯანჯალია აკაკი ბესარიონის ძე, ქვანია ანდრეი იოვანეს ძე, ხაფთაძე კალისტრატე ისიდორეს ძე, რუხაძე ანდრონიკე იოვანეს ძე, ღლონტი იოანე დავითის ძე, ხელაძე მელქისედე ოთარის ძე, თავდიშვილი კალენიკე ივანეს ძე, ქეიშვილი ვლადიმერ სამსონის ძე, დარახველიძე ვასილ ქრისტიფორეს ძე, მამინოშვილი იპოლიტე შარვანის ძე, მიმინოშვილი ვარლამ ჯამუნის ძე, ახობაძე იაკოვ ნიკოლოზის ძე, მეგრელაძე ნოე იაგორის ძე, ინწკირველი ტარასი ნესტორის ძე, ინწკირველი კიმოთე ლუკას ძე, ინწკირველი ესტატე ლუკას ძე, ინწკირველი სანდრო ალექსის ძე, ინწკირველი დათიკო ალექსის ძე, ვაშალომიძე მოსე ტარიელის ძე, ანდღულაძე აპალონ დიმიტრის ძე, აფრიდონიძე ლავრენტი გიორგის ძე, გუდავაძე უშანგი გიორგის ძე, გოგუაძე დიმიტრი კონსტანტინეს ძე, ენუქიძე გერმანე ალექსის ძე, გოგეშვილი სიმონ ივანეს ძე, გოგეშვილი ილაკრე ნოეს ძე, გოგუაძე ბარნაბ ნიკოს ძე, ქავჯარაძე ალექსანდრე ნიტიფოს ძე, ღლონტი ილარიონ კაცრას ძე, ანთიძე მირიან სიოს ძე, ლომჯარია პორფილე შავარდენის ძე, დოლიძე გაბრიელ კოსტას ძე, ჩიჩუა ვარდენ კირილეს ძე, დოლიძე ეროდი სევასტის ძე, სუხიაშვილი ნიკოლოზ დავითის ძე, კორტაძე შალიკო ივლიანეს ძე, შათირიშვილი შალიკო ლუკას ძე, როფაქიძე ბარნაბ მალხაზის ძე, მეშქელიანი ბ:ხვა, მეშქელიანი მიხეილ, კუკულავა სვიმონ ლევანის ძე, ქავჯარაძე ერემია სილევანის ძე, უგრეხელიძე სპირიდონ მიხეილის ძე, შარაშანიძე ამბერგი მიხეილის ძე, ქუონია ლადიკო ნიკოს ძე, ქუონია ნიკო ჟაკოს ძე, ქუონია პოლიაკ. სირ., გელოვრე ნიტიფო გიორგის ძე, სარჯველაძე ალისტრახო ესიას ძე, ქუონია ტარასი კოსტას ძე, ქუონია ლევან ესეს ძე, კვაჭაძე ტერენტი გიორგის ძე, სარჯველაძე ვასო კონსტ. ძე, ლომაძე ისიდორე გიტოს ძე, პატარაია ნოე იოთამეს ძე, ქუონია გიორგი ფილიპეს ძე, ჯორბენაძე ალექსანდრე ბესარიონის ძე, ჯორბენაძე მიხაკო მოსეს ძე, ამაღლობელი სილევან ბესარიონის ძე, ლოლაძე ნესტორ ნიკოს ძე, ლეშკაშელი იასონ ეგნატეს ძე, ღლონტი ალექსანდრე ნესტ. ძე, შეყრილაძე გიორგი ონისიმეს ძე, შეყრილაძე ტრიფონ ნიკოს ძე, შეყრილაძე გრიგორი ივ. ძე, ჩუბინიძე ვალიკო სპირ. ძე, კალისტრატე მალაქიას ძე ჩუბინიძე, შეყრილაძე ივანე ბესარიონის ძე, შეყრილაძე კონსტანტინე ირაკლის ძე, ჩუბინიძე ალექსანდრე ბესარიონის ძე, შეყრილაძე სიმონ მარკოზის ძე, თედორაძე აკაკი მიხაკოს ძე, კვინტრაძე ივანე იოსების ძე, კვერნაძე ზაქრო ბევათუნის ძე, კვერნაძე კოსტა ალექ. ძე, კვერნაძე იასონ ალექ. ძე, კომახიძე ლადიკო ზარასპის ძე, კომახიძე არტემ ზეკოს ძე, მაგრაძე შალიკო ელისოს ძე, ყარამან სილიბისტროს ძე რუხაძე, კვაჭაძე რადიონ დომენტის ძე, ჯიჯეიშვილი ვასილ გრიგოლის ძე, კუპრაძე ალექსანდრე ბარნაბას ძე, მითაიშვილი ანთიმოზ ალფესის ძე, ჯიჯეიშვილი ნიკოლოზ პიფონის ძე, ბლაგიძე შოთა ნიკოს ძე, ქუონია სიმონ კონსტ. ძე, ბარბაქაძე ირაკლი ლუკას ძე, გურგენაძე ლასა ლევ. ძე, უშვერიძე ალისტრახო ივანეს ძე, უშვერიძე ტროფიმე ივანეს ძე, ლოლაძე სიმონ ტარიელის ძე, ბიბილაშვილი ანდრო იოს. ძე, სვანიძე ირაკლი გიგოს ძე, სვანიძე ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, რუსაძე ლუკა ივ. ძე, ქეიშვილი ვლადიმერ დიმ. ძე, გოგუაძე ვარლამ მარკოზის ძე, ნიკო ქაიხოსროს ძე ბერუჩავა, ლეჟავა გრიშა მაქსიმეს ძე, ლალიაშვილი გაბრიელ იოსების ძე, ლალიაშვილი სტეფანე იოსების ძე, ელგუჯაშვილი ბათლომე იაკ. ძე, შენგელია დათიკო ფარნას ძე, მიქაძე გიორგი დავითის ძე, დარჩია ლადიმერ ნიკოს ძე, ბაბუნაშვილი იონა ილარიონის ძე, კუხიანიძე კოწია, მიქაძე ივანე ზაქარიას ძე, გოდუაძე კოსტა ექვთიმეს ძე, სვანიძე ვასილ ილარიონის ძე, ნიკურაძე თომა ვლადიმერის ძე, ხარბაშვილი სერგო, დვალაძე პარმენ, ბაბალიკაშვილი ელია არონის ძე, კასრაშვილი თეოფილე, ფურცხვანიძე იესე, ხოხიაშვილი ვლადიმერ, ხახალეიშვილი სევერიან ვოლისიმეს ძე, თეოფილე გძელიძე, კალანდარიშვილი ილიკო გიორგის ძე, ღლონტი ირაკლი მიხეილის ძე, ალიკაშვილი სერგო მიხეილის ძე, ღლონტი ელისო არჩილის ძე, კობრეიძე გერმანე იაკობის ძე, თავართქილაძე აკაკი ტარიელის ძე, გვარჯალაძე ალექსანდრე გიორგის ძე, იმნაიშვილი ლავრენტი ესტატეს ძე, გობრონიძე რომან ივლიანეს ძე, იმნაიშვილი გიორგი ერმოლოზის ძე, ქინქლაძე ლადიკო სიმონის ძე, ქინქლაძე კალისტრატე გიორგის ძე, ბზეკალავა შალვა ივანეს ძე, ჩხაიძე ფილიპე შერმანდის ძე, ლომაძე ივანე ვარსენის ძე, ებრალიძე ანდრო დიმიტრის ძე, კვეტაიშვილი ვლადიმერ უშანგის ძე, კვეტაიშვილი რუბენ ლასას ძე, ჯორბენაძე მიხაკო მოსეს ძე, ორაგველიძე თეოფანე ვარლამის ძე, იმნაძე მასიკო, ჟორდანია დავით კოსტას ძე, ჩიგუნავა ელიზბარ დავითის ძე, ძნელაძე გიორგი კოსტას ძე, ნაცვლიშვილი აკაკი იოსების ძე, ნაცვლიშვილი ანდრია ვასილის ძე, ქებულაძე ივანე გიორგის ძე, ბაბელიშვილი პეტრე ილარიონის ძე, ბაბელიშვილი შალვა ილარიონის ძე, ქანთარიძე გრიგოლი ვლადიმერის ძე, ჩიქვანი ვალერიან სოლომონის ძე, ფხაკაძე პლატონ ზაქარიას ძე, გოგიჩაიშვილი ჰეჰეკო ერისტოს ძე, ყარაბაძე ვარლამ ბეგლარის ძე, ნიკაბაძე ვარლამ გიორგის ძე, ძნელაძე ალექსანდრე ბათლომის ძე, ქურცაძე სერგეი სოლომონის ძე, გოგუაძე სერაპიონ ფარსადანის ძე, წეროძე ვლადიმერ ხარლამპეს ძე, ხუბუჩია ვარდენ ბათლომეს ძე, კაპარავა ვიქტორ ათანასის ძე, ბაზილეიშვილი ილიკო გიგოს ძე, ბარკალაია ვარდენ გრიგოლის ძე, დავიდოვი ვანო მარქაროზის ძე, მაჩხაგაშვილი თედო, ჯოლოკავა აქსენტი, მიროტაძე ნიკალაი, ცხადაძე ილია დიმიტრის ძე, ქაჯაია გიორგი დავითის ძე, ქვანია ალექსანდრე ოქროპირის ძე, ხობაძე ვანო დიმიტრის ძე, მდივანი ვანო კოტიას ძე, მელდიდავა გერმან სიმონის ძე, საქარიაძე ალექსანდრე იოსეფის ძე, საქარიაძე ნოვე იოსების ძე, ცოცელია ივანე როსტომის ძე, ჭანკვეტაძე ლადიმერ პეტრეს ძე, მიმინოშვილი სამსონ ლებონის ძე, ფოცხვერია ნოვე ალექსის ძე, არველაძე სერგო ანდრიას ძე ხაროუშვილი ვასილი უთუს ძე, კორთხოჯავა მიხეილ ივანეს ძე, სურუა ვასილი, სანგულია არტემ, კუტელია სტეფან, კირტაძე მაქსიმ ონისიმეს ძე, გირკელიძე ვასილი ლავრენტის ძე.

## პროვინცია

**ჯურუყვეთი** (გურია). დადგა დრო, როდესაც ხალხის ფიზიკური არსებობა და სისხლით მოპოვებული თავისუფლება დაღუპვის კარებზეა. მუშათა კლასის მოვალეობაა მთელი ძალ-ღონე მოიკრიფოს რევოლიუციით მოპოვებული თავისუფლების დასაცავათ. მუშათა კლასმა კარგათ უნდა იცოდეს, რომ მის წინააღმდეგ აშკარათ დაირაზმნენ, როგორც გარეშე მტრები—ოსმალები,—ისე შინაური. უსაქმოთ მოხეტიალე ნაძირალები, რომლებიც ვერ შერიგებიან დღევანდელ მდგომარეობას. და აი, ეხლა, როცა ოსმალებმა ხელთ იგდეს ბათუმი და გურიის დედა ქალაქი ოზურგეთი, ეს ხალხის მტრები გამოძვრენ ცხვრის ტყავიდან და ეწევიან პროვოკაციას ხალხში, ჩირქს სცხებენ ჩვენს ბელადს ნოე ჟორდანიას, ირ. წერეთელს და ევ. გეგეჭკორს და სოციალ-დემოკრატიის ყველა ორგანიზაციის ხელმძღვანელებს. ისინი აშკარათ და უშიშრათ გაიძახიან: ნ. ჟორდანიამ, ევ. გეგეჭკორმა და ირ. წერეთელმა მიჰყიდეს კავკასია ოსმალეთის ფაშებსო, საერთოთ ს.-დ. დაღუპეს ქვეყანაო. ცხადია, ხსენებულ პროვოკატორების მიზანია ჩვენი სახელი დასცეს ხალხში და სამაგიეროთ ძველი თვითმპყრობელობის აღდგენის სურვილი აღძრას ხალხს. პროვოკაციამ გავლენა იქონია მხოლოდ ჯარისკაცების ნაწილზე, რომლის საშუალებით ჯურუყვეთის საზოგადოებაში მოსპეს ს.-დ. მოძრაობა. მოხალისეთა სიის შედგენის დროს, რადგანაც ყოფილ ჯარისკაცებმა სურვილი არ გამოსთქვეს ფრონტზე წასვლის სამშობლოს და თავისუფლების დასაცავად, ამიტომ ს.-დ. ორგანიზაციის ხელმძღვანელები ჩაეწერნენ მოხალისეებათ და გაემგზავრნენ ფრონტზე, რის გამო შესწყდა, მიდუნდა ს. დ. ორგანიზაციული მუშაობა. ამით ფართე სარბიელი დაურჩათ პროვოკატორებს თავიანთი საზიზღარი მიზნის მისაღწევათ. სამწუხაროა კიდევ მეორე გარემოება. დღეს ოჯახის ერთად-ერთი მარჩენალი, რომელსაც 7—8 სული სარჩენი ჰყავს, ფრონტზეა, მთელი დამშეული ოჯახები უპატრონოთაა დარჩენილი. მთელი სარჩო ყანები დარჩა დაუთესელი. შიმშილობამ უკვე მწვავე ხასიათი მიიღო, სიმინდი დიდი ხანია გამოილია და მომავლისათვის მუშაობის საშუალებას საწყალ მუშას არავინ აძლევს, რის გამო ხალხი დიდ საგონებელშია ჩავარდნილი.

ერ. ტ—ა.

**ზედა თავახა**. ამას წინათ შეტაკება მოუხდა თავას ჩხარის გვარდიელებს შეიარაღებულ დეზერტირებთან. დეზერტირების მხრით მოკვდა სახეჩიძე, მძიმეთ დაიჭრა სახეჩიძე და სულიაშვილი, მსუბუქათ—კირკიტაძე. საქმე ასე იყო: ადგილობრივმა კომისარმა ორჯერ მისცა ამ პირებს წინადადება დაეყარათ იარაღი და კვიტანცია მიეღოთ, მაგრამ იმათ არ ინებეს. მესამე ჩხარის და თავასის გვარდიელების დახმარებით მივიდა კომისარი და წინადადება მისცა დაეყარათ იარაღი, დეზერტირებმა სროლა აუტეხეს გვარდიელებს თოფებით და ყუმბარებით. გვარდიელები ვერც ერთი ვერ დასჭრეს. მიცვალებულის გასვენების დღეს მოვიდა ქვათურის რაიონის დეზერტირთა რაზმი 160 კაცზე მეტი. გასვენების შემდეგ უნდოდათ გამოლაშქრება თავასა-ჩხარის გვარდიელების წინააღმდეგ, მაგრამ ზესტაფონიდან წამოსული დამსჯელი რაზმის დელეგაციამ შეაჩერა დეზერტირთა რაზმი და დაიშალნენ. ეხლა ორჯერ იყო ქვათურის რაიონის დეზერტირების იარაღის ასაყრელათ ყვირილიდან გაგზავნილი ჯარი, მაგრამ იარაღის აყრა სავსებით ვერ მოახერხეს. ეხლა კიდევ ელით გაძლიერებულ რაზმს ყვირილიდან. საჭიროა ყველა რაიონებში მიიღონ ზომები ადგილობრივმა მთავრობებმა იარაღის ჩამოსართმევათ, თორემ სხვა რომ არა იყოს რა, ყაჩაღები აგვჭამენ. ამ დღეებში დაეცნენ ასეთი შეიარაღებული „მოზალშევიკე“ პირები ცხელიშვილს, წაართვეს ყველაფერი და ოჯახში მყოფნი სულზე მიაყენეს ცემით. არის შემთხვევები—ისვრიან თოფებს და ხვდება უცაბედათ, თუ ხალხს თუ საქონელს. იარაღის ჩამორთმევაში დიდი მადლობის ღირსია თავასის გვარდია. შვიდმა კაცმა უკვე ორმოცდა ათამდე „ვინტოვკა“ ჩააბარა მთავრობას.

მელია.

**ს. ახმეტა**. ამ რამდენიმე დღის წინათ ადგილობრივ სოც.-დემ. ორგანიზაციის მეთაურობით აქ დაარსდა რაიონის რევოლიუციონური ტრიბუნალი.

1 მაისს (ახალი სტილით) დაინიშნა ტრიბუნალის პირველი კრება. გასარჩევი იყო რამდენიმე კაცის საქმე სოფლათ პროვოკატორულ აგიტაციის გაწევისათვის და სამი კაცის საქმე, რომელთაც ბრალდებოდათ თოფების ყიდვა თფილისში და მისი გაყიდვა საეჭვო პიროვნებებზე და სხვა წვრილმანი საქმეები.

ტრიბუნალის თავმჯდომარემ, გახსნა რა კრება, ვრცელი სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას. ამ სიტყვაში მან განმარტა მნიშვნელობა რევოლიუციონურ ტრიბუნალისა.

ამას წინათ ჩვენს გაზეთში ცნობა იყო მოთავსებული, რომ ადგილობრივ ს. დ. პარტიის ორგანიზაციამ ყოფილ თავადს სოლ. ჯანდიერს 2000 მანეთი ჯარიმა მიუსაჯა. ეს საქმე შეჩერებულ იქნა და გადაეცა ტრიბუნალს გასარჩევათ, მაგრამ ამ დღეს საკმაო მოწმეების გამოუცხადებლობის გამო საქმე, ხანგრძლივი კამათის შემდეგ, გადაიდო სხვა დროისთვის.

მეორეთ გაირჩა ს. გოჯიევის საქმე, რომელსაც ბრალდებოდა სხვადასხვა დროს პროვოკაციულ ხმების გავრცელება სოფლად. მოწმეების და თვით ბრალდებულის დაკითხვის შემდეგ ტრიბუნალმა ის დამნაშავეთ სცნო და გადაუწყვიტა გადაახდევინოს მას ჯარიმის სახით 500 მან. ფული, რომლიდანაც 100 მ. ს. დ. პარტიის საოლქო კომიტეტის სასარგებლოთ, 200 მანეთი სახალხო სახლის ფონდისთვის და 200 მანეთი ადგილობრივ ორგანიზაციის სასარგებლოთ. თუ არ გადაიხადა, სამი თვით ციხეში უნდა ჩაჯდეს.

ტატე დავიდოვს, ვანო მახიაშვილს და ლ. ხითარაშვილს დაუმტკიცდათ, რომ ისინი თფილისში ვიღაც უცნობისაგან ყიდულობდნენ თოფებს და აქ სოფელში ჰყიდდნენ ზოგ არასაიმედო პირებზე. ტრიბუნალმა მათ მიუსაჯა: პირველს 300 მანეთის ჯარიმა ან 6 თვის ციხე, მეორეს—250 მანეთი ან 5 თვით ციხე და მესამეს—200 მან. ან 4 თვით ციხე.

ფული ასე განაწილდება: 100 მან. საოლქო კომიტეტის სასარგებლოთ, 250 მან. სახალხო სახლის ფონდისათვის და 400 მან. ადგილობრივ ორგანიზაციისათვის.

ი. სიაური, რომელსაც ბრალდებოდა პროვოკაციულ ხმების გავრცელება, ტრიბუნალმა უდანაშაულოთ სცნო. გაირჩა აგრეთვე რამდენიმე წვრილი საქმეები.

ნარწინი.

**სამტრედია**. 6 მაისს სამტრედიის რკ. გზის კლუბში შესდგა კრება სამტრედიის რაიონის მ., ჯ.-კ. და გლეხთა დეპუტატების საბჭოსი. კრებამ პირველათ მოისმინა მოხსენება ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლათ გამოცხადების შესახებ. მომხსენებელს დამსწრეებმა გაუგზავნეს შეკითხვები, რომლებიც დაკმაყოფილებულ იქნა მომხსენებლის მიერ. ამის შემდეგ გაიმართა კამათი. ამ დროს კრებაზე გამოცხადდა ჩვენი მასწავლებელი ნ. ჟორდანია, რომლის შემოსვლამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია დამსწრეთა შორის. დასმულ საკითხის გარკვევაში და ახსნა-განმარტებაში ნ. ჟორდანიამაც მიიღო მონაწილეობა, რის შემდეგაც კრებამ ერთხმად მიიღო მომხსენებლის მიერ წამოყენებული რეზოლიუცია, რომელიც აქვე მოგვყავს: „მოვისმინეთ რა მოხსენება დღევანდელ მდგომარეობაზე და ამიერ-კავკასიის სეიმის მიერ დამოუკიდებლათ გამოცხადების შესახებ, სამტრედიის რაიონის მ, ჯ.-კ. და გლეხთა დეპუტატების საბჭო მხარს უჭერს ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობას და ყოველნაირათ ცდილობს შესაფერისი ახსნა-განმარტება გაავრცელონ ხალხში, რომ კონტრ-რევოლიუციონურ ელემენტებმა არ გამოიყენონ ეს აქტი ნაციონალური შუღლის და მტრობის გასაღვივებლათ. ვაწარმოვებთ რა ზავზე მოლაპარაკებას ოსმალეთთან, საბჭოს აუცილებელ საჭიროთ მიაჩნია სასტიკათ დაცული იქნეს შიგნით რევოლიუციონური წესრიგი, რომ ჩვენში ანარქიის გამოწვევით საბაბი არ მივსცეთ გარეშე მტერს, „მეგობარ მეზობელს“, ჩაერიოს ჩვენი შინაური საქმის მოწესრიგებაში და ამასთანავე ვემზადოთ იმისთვის, რომ მით ძალა ვაჩვენოთ ზავზე მოლაპარაკე მეზობელ ოსმალეთს, რომ ის იძულებული გახდეს ზავი მოპოვებულ თავისუფლებისთვის სასარგებლო პირობებში შეიკრას და ყოველ შემთხვევისთვის იარაღით ხელში მზათ ვიყოთ დავიცვათ მხარე და რევოლიუცია, როგორც შინაურ, ისე გარეშე მტრის შემოსევისაგან“.

პირველი საკითხის გარჩევის შემდეგ კრებამ მოისმინა მოხსენებები ალაგებიდან და საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტიდან. აღმასრულებელ კომიტეტის მოხსენება კრებამ მოიწონა და დაამტკიცა. ცოტა შეკითხვების და ახსნა განმარტებების შემდეგ კრებამ დაამტკიცა აღმ. კომიტეტის მიერ შეყენებული რევოლიუციონური ტრიბუნალი. ეს ტრიბუნალი აქ შესდგა თფილისში გამომუშავებული წესდების თანახმათ. ტრიბუნალში არის არჩეული 8 კაცი: ალექსანდრე დუნდუა, მიტროფ. ჯანელიძე, ივანე კაკაბიძე, გვარამია (ს. რ), ვასილ კვანტალიანი (ბოლშევიკი) და მიტროფანე სტურუა, სერგო ნინუა და დომენტი თადუმაძე (ჯარისკაცები) (ნაც. დემ. და ს. ფ. არ გამოგზავნეს თავიანთი წარმომადგენლები), საზოგადოებრივ ბრალმდებლათ პ. წულაია და მის ამხანაგათ ევგენი ძიძიგური. საგამომძიებლო კომისიაში—გაიოზ ჯვარჩეიშვილი და ამბ. ჯანელიძე. მოხსენების დამტკიცების შემდეგ კრებამ მიიღო წინადადება, რომ მოკრიფონ მთელს რაიონში თითო მანეთი ოჯახზე ერთდროულათ საბჭოს ფონდის გასაძლიერებლად და ძველი გაწეული ხარჯების დასაფარავათ. ამასთანავე ნ. ჟორდანიამ აღუთქვა სამტრედიის რაიონის საბჭოს დახმარება 1000 მანეთი სამხედრო ფონდიდან სამხედრო საქმის მოსაგვარებლათ.

კრების დასრულებამდი ნ. ჟორდანია უდროობის გამო გამოემშვიდობა და დატოვა კრება. როგორც მის მოსვლას, ისე მის წასვლასაც კრება დიდის ოვაციით და ტაშის ცემით შეხვდა. საბჭომ აღმასრულებელ ბიუროს მოხსენების თანახმათ სამი კაცით გაადიდა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის რიცხვი და პირებიც აირჩია ე. ძიძიგური, პოლ. გიგინეიშვილი, გიორგი სტურუა და კანდიდატათ გერასიმე კუხიანიძე და პ. გეგეშიძე. კრებამ განიხილა აგრეთვე სხვადასხვა წვრილმანი საკითხები.

—პო.

## ცნობები

ჯარისკაცი პრაკოფი ტატოს ძე ბერძენიშვილი მსახურებდა ბათუმში, პირველათ მისი მისამართი ასე იყო: Военный телеграфъ Михайловской Крѣпости противъ гостиницы „Аврора“, Святополкмирская, № 12. შემდეგ 25 მარტიდან 1918 წ. გადავიდა მატროსათ. მისი მისამართი ასეთი იყო Батумъ, Морской штабъ, Вспомогательный крейсеръ „Король Карлъ“. ბათუმში მომხდარ ამბების შემდეგ არავითარი ცნობა მის შესახებ არ ვიცით, გთხოვთ თუ ვინმემ რამე იცით მის შესახებ გვაცნობოთ შემდეგ მისამართით. ст. Михайлово, Контора 5 участка сл. пути з. ж. д. Григорій Татоевичъ Бердзенишвили.

ჯარისკაცი ვანო სტეფანეს ძე ხუნდაძე მსახურებდა ბათუმში მესამე ქართულ ცხენოსან პოლკში მესამე ესკადრონში თვით იყო „ზვოდნი“, 31 მარტს აქეთ მისმა ჭირისუფალმა არაფერი არ იცის მის შესახებ. თუ ვინმემ რამე იცის ვთხოვ მაცნობოს შემდეგი ადრესით: თფილისი საქონლის სადგური ამბროსი ხუნდაძე.

## ჩვენი ფოსტა

**ქიათურა**. მუშ. დეპ. საბჭოს აღმ. კომიტეტ; მიმართეთ „პირველ ნაბიჯს“.

**იოს. კალანდაძეს**. პირადათ მიმართეთ შაშუა მიქაძეს.


ექიმი ბ. ლონხინი
ყოფილი ასსისენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს თვალის ტკივილების ავადმყოფებს დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

ექიმი ა. დ. ციციშვილი
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათამდე, საღ. 5—7 ს. ჩერქეზოვის ქ. № 14.

ექიმი ბ. მ. რუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; ავადმყოფთა უკანონო... სახ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიძეებისა. ტელ. № 5—17

სამკურნალო კაბინეტი
ექიმი ალექსანდრე დავ. კეკელიასი
მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილ... ანი ავადმყოფები. (814-ს და 606-ს შეშხა... ნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე... ღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სა... რო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—...

დ ხარჩარეში ექიმის თანაშემწე ვ. ზ. ლაშ...
იღებს ავადმყოფებს, უკეთებს კანქვეშ ნემს... ციებ-ცხელებიანს, სისხლ-ნაკლებიანს და სი... ლისიანს უკეთებს მასაჟს, ულრის ყვავ... უხვევს ქრილობებს და ათაშაგს. მისამარ... რკინის გზის სადგურთან აბაშიშვილის ... ლებში.
იქვე ექიმის თან. ქალი მ. პ. ზაზ... ნა-ლა... ლებულობს ავადმყოფ ქალებს და აძლევს ... რიგებას.

ექიმი ვ. ზ. ვაფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინ... ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავადმყოფ... კანისა და ვენერიულის სნეულებით ყო... დღე 3—5 ნახ. საათამდე ვარანცოვის ... ლის პირდაპირ, რაზნეზდის ქუჩა, № ...

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვ... სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1... ათამდე, საღამოს 5—7 ს მადათოვის ქუჩ... 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელ... ნი 17—49.

ექიმი ნ. ა. ფოფხაძე
მიიღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ... ველ საღამოს 5—7 საათამდე. გრაფის ქუჩა № 8. მონასელიძის ბინა...

ექიმი მ. ვ. კედიაშვილი
შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყო... ღებულობს ყოველ-დღე დილის 12—1 საათ... საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტ... გრადის ქუჩა № 4, კუთხე მიხეილის პრ. ... ლეფონი 8—48. ვაგზლის სამკურნალოში იღებს ყოველ-დღე დილის 1—2 საათამდე...

ექიმი ქ. ი. გვაჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი
ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღ... 5—6 ს. კვირა დღის გარდა. შენიგეის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვენეცი... გვერდით. ტელ. 15—00.

ექიმი დ. ი. ჟორდანია
იღებს ავადმყოფებს შინაგან და ვენერ... ავადმყოფობით, სიფილისი მისი და შედე... სისხლ ნაკლებობა. ქრონიკული მალარია... ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—7 საათ... გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდ... ტელეფონი 14—37.

ექიმი ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება... მისი შედეგებით დასნეულებულთ, სის... ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარ... და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ... ველ დღე დილის 11—12 საათამდე და ს... მოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია და ... საჟ. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი
მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერ... ტეტისა.
შინაგან საბავშვო, საზებიო და საშვილო... სნეულებით ავადმყოფთ იღებს ყოველ-დღე დილის 12—2 და საღამოს 4—5 საათამ. ... ხით იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 ს... მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხო... აფთიაქის გვერდით.

ექიმი ქალი რ. ბ. შიშლო-სახაშვილ...
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტ... სა და ლენინგრადის მედიკურ-ქირურგიულ... ლიკისა იღებს ყოველ-დღე შინაგან, ქა... და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ... ბით დარიგებას. სიფილისის წამლობა ... მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღ... 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სა... 82. ტელ. № 3—97.

თფ. ქართველ ვაჭართა და მრეწველთა დრ. საბჭო
ამით აცხადებს ქართველ ვაჭართა და მრეწველთა საყურადღებოთ, რომ თანახმად ქართ... ვაჭარ-მრეწველთა 12 მაისის საზოგადო კრების დადგენილებისა მათ ეძლევათ ერთი კვ... ვადა იმ ფულის შემოსატანად, რომელიც მათზეა გაწერილი
საქართველოს ეროვნულ საბჭოს სასარგებლოთ.
ვინც ამ ვადის განმავლობაში არ შემოიტანს ფულს მათი სახელი და გვარი გაზეთ... იქნება გამოცხადებული, ხოლო ვიზედაც არც ეს ზომა იქონიებს გავლენას მათ წინააღ... იქნება მიღებული სასტიკი იძულებითი ზომები. 4—

კახეთის კავშირი
კოოპერატიულ დაწესებულებათა ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ რწმუნებულთა
წლიური კრება
დანიშნულია 20 მაისისათვის (ახალი სტილით) ქ. თელავში. 3—

სტუდენტი გიორგი ლაზრიშვილი
სწავლობდა კიევში, ტეხნიკურ სასწავლებელში
წინათ სცხოვრობდა ფილენსკის ქუჩაზე № 55. ორი თვე არის რაც არაფერი ვიცი მის სახებ. თუ ვინმემ რამე იცის გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: კობისკი ტუპ... 11, ნინა ლაზრიშვილი. (6—6)